ალია

N193/3315/ 24 დეკემბერი 2015 წ ფასი 1 ლარი

ორშაბათი სამშაბათი ოთხშაბათი ხუთშაბათი პარასკევი

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

## მოგების გადასახადს აუქმებენ



12

ვინ და რა შემთხვევაში აღარ გადაიხდის გადასახადს?

# 23 დეკემბერს, ბერა ივანიშვილის დაბადების დღეს, ირაკლი ღარიბაშვილი პრემიერ-მინისტრის პოსტიდან გადადგა...

2

## რატომ დუმს ბიძინა ივანიშვილი?



## ვალერი გელბახიანი: „ივანიშვილი ამ ნაბიჯით გამოდის მართალი, ღარიბაშვილი — მტყუანი“

3

რა ცვლილებები მოჰყვება ღარიბაშვილის წასვლას? სად შეიძლება ვიხილოთ ყოფილი პრემიერი? ვინ რჩება მოგებული სამთავრობო ცვლილებებით და რა ხდება „ოცნების“ კულუარებში?

## ზაზა ხატიაშვილი: „ღარიბაშვილს თეა წულუკიანი უნდა მიჰყვეს. ბიძინა ივანიშვილმა მას დაავალა სასამართლო სისტემის რეფორმირება, მან კიდევ, ყველაფერი ჩააოხრა“

4

„ჩვენ ირაკლი ღარიბაშვილისთვის არ მიგვიცია ხმა. არც თეა წულუკიანისთვის, ჩვენ ბიძინა ივანიშვილი ავირჩიეთ და მან უნდა შეუსრულოს პირობა ხალხს“



— მადლობა მინდა ვუთხრა თინა ხიდაშელს ამ ვაჟკაცური განცხადებისთვის, „ქართულ ოცნებაში“ ბევრი კაცი ხმას ვერ იღებს ლევან მურუსიძეზე და სხვა უსამართლობაზე და ხიდაშელმა მათ აჯობა

## ლევან ბერძენიშვილი: ჩვენ შევძლებთ, ქვეყანა შეხვდეს ახალ წელს ახალი პრემიერ-მინისტრით



საპარლამენტო უმრავლესობის წევრის დავით ბერძენიშვილის განცხადებით, პრემიერ-მინისტრის შემცვლელზე უმრავლესობა უახლოეს დღეებში იმსჯელებს.

როგორც ბერძენიშვილმა აღნიშნა, კოალიცია პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას ახალ წლამდე დაასახელებს.

– რაც შეეხება შემცვლელებს, ეს იქნება დინამიკური და სწრაფი პროცესი. კოალიცია ძალიან ქმედითი სტრუქტურაა, ჩვენ უახლოეს დღეებში მივიღებთ გადაწყვეტილებას კოალიციის შიგნით. ვვარაუდობ, რომ ერთი კვირის ფარგლებში, იმ კვირის პირველ ნახევარში ჩვენ შევძლებთ, ქვეყანა შეხვდეს ახალ წელს ახალი პრემიერ-მინისტრით, რომელიც 2016 წლის მიმლოცველი იქნება ქართველი ხალხისთვის. მე ვვარაუდობ, რომ ეს იქნება წარმატებული მთავრობა. განახლება იქნება, რადგან ეს ნებისმიერ პოლიტიკურ ძალას სჭირდება, – აღნიშნა ლევან ბერძენიშვილმა. (kvira.ge)

## „ცვლილება ცვლილებისთვის... ღარიბაშვილი ასრულებდა მომსახურე პერსონალის მოვალეობას“ — რატიანი



საპარლამენტო უმცირესობის წევრის სერგო რატიანის თქმით, ირაკლი ღარიბაშვილი პრემიერის მოვალეობას ფორმალურად ასრულებდა და რეალური პრემიერი ქვეყანაში ისევ ბიძინა ივანიშვილი იყო.

– ღარიბაშვილი ასრულებდა მომსახურე პერსონალის მოვალეობას და ბიძინა ივანიშვილის რეჟიმის დროს სხვა პრემიერიც შეასრულებს იგივე მოვალეობას. ამიტომ ვინ შეასრულებს ამ მოვალეობას, ჩვენთვის მნიშვნელოვანი არაა. მთავარი არის ის, რომ ივანიშვილის რეჟიმი ვერ ხედავს და არ აღიარებს იმ პრობლემებს, რაც არის ქვეყნის წინაშე. ეს არის, უბრალოდ ცვლილება ცვლილებისთვის, ან სახის ცვლილება, რადგან ხედავენ რომ ხალხის უკმაყოფილება მზარდია, – განაცხადა სერგო რატიანმა.

მისი თქმით, აზრს კარგავს ლაპარაკი მომავალი პრემიერობის კანდიდატების დადებით და უარყოფით მხარეებზე, რადგან, ვინც არ უნდა იყოს ის, გადაწყვეტილების მიმღებ პირად მაინც ივანიშვილი რჩება. (ნიუპოსტი)

# 23 დეკემბერს, ბერა ივანიშვილის დაბადების დღეს, ირაკლი ღარიბაშვილი პრემიერ-მინისტრის პოსტიდან გადადგა...

მიხეილ სახვაძე
599 93-28-03



23 დეკემბერს, ბერა ივანიშვილის დაბადების დღეს, ირაკლი ღარიბაშვილი პრემიერ-მინისტრის პოსტიდან გადადგა...

როგორ ფიქრობთ, ძვირფასო მკითხველო, ვითომ ეს უბრალო დამთხვევაა თუ რამე უცნაურობასთან გვაქვს საქმე? ეეჰ, იმდენი უცნაურობა და სისულელე გვინახავს ამ ქვეყანაში, აბა, რამ უნდა გაგვაკვირვოს? არაფერმა!

ჰოდა, იმას ვამბობდი, 23 დეკემბრის დილიდან საინფორმაციო სააგენტოები გადაჭრელდა ვარაუდებით, რომ ირაკლი ღარიბაშვილი თანამდებობიდან გადადგომას აპირებდა.

თავიდან ითქვა, რომ აწ უკვე ყოფილი პრემიერი განცხადებას 14 საათზე გააკეთებდა, თუმცა ეს ვარაუდი არ გამართლდა და დასახელდა ახალი დრო – 18 საათი... ვაახ, მივაჩერდით მთელი საქართველო ტელევიზორებს, მაგრამ უშედეგოდ – 20 საათზეო.

დადგა საღამოს 8 საათიც და გამოჩნდა ირაკლი ღარიბაშვილი, ერთი ღრმად ჩაისუნთქა და დაიწყო (სტილი დაცულია):

„ჩემო ძვირფასო თანამემამულენო, ყველას მოგესალმებით. მოგეხსენებათ, რომ ყველა ადამიანს აქვს თავისუფალი არჩევანის საშუალება. დღემდე თითოეული ჩემი ნაბიჯი გამომდინარეობდა იმ პასუხისმგებლობიდან, რასაც არჩევანი მაკისრებდა. როდესაც ვიღებდი გადაწყვეტილებას, იქნებოდა ეს ოჯახის შექმნის, კარიერის არჩევისა თუ პოლიტიკაში წასვლის შესახებ, ანუ მაშინ, როდესაც ბიძინა ივანიშვილის ლიდერობით გავერთიანდით ჩვენი ქვეყნის გადასარჩენად. ჩვენი ბრძოლა 2012 წელს ჩვენი ხალხის გამარჯვებით დაგვირგვინდა. მე ნამდვილად მეამაყება, რომ წილად მხვდა პატივი, ამეღო უდიდესი პასუხისმგებლობა ჩვენი ქვეყნისა და ერის წინაშე. ჩვენს გუნდთან გამეგრძელებინა ქვეყნის საკეთილდღეოდ დაწყებული საქმე.

ჩემი პრემიერ-მინისტრობის დროს ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრდა მშვიდობა და სტაბილურობა, კანონიერება და ჰუმანურობა. ჩვენს მოქალაქეებს დავუბრუნეთ ყველაზე მთავარი — თავისუფლება და ღირსება. ასევე, ჩვენ მიერ გატარებული მასშტაბური რეფორმებითა და უპრეცედენტო სამთავრობო პროგრამებით ჩვენ შევქმენით მყარი საფუძვლები ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობისთვის. ჩვენ ასევე მივაღწიეთ ისტორიულ შედეგებს — გავაფორმეთ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება და დავიწყეთ თავისუფალი ვაჭრობა. მივიღეთ თანხმობა უვიზო მიმოსვლაზე ჩვენი მოქალაქეებისთვის, რითაც უკვე შეუქცევადი გახდა ჩვენი ქვეყნის ინტეგრაცია ევროპულ ოჯახში.

დღეს ისე, როგორც არასდროს, ადამიანზე ორიენტირებული და პრაგმატული პოლიტიკით, ჩვენი ევროპული პერსპექტივით ყალიბდება რეალური საფუძველი ჩვენს აფხაზ და ოს ძმებთან ერთად მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის.

ჩვენ დავიწყეთ მუშაობა ჩვენი ქვეყნისთვის ისტორიული ფუნქციის აღდგენაზე — საქართველო აქტიურად ჩაერთო აბრეშუმის გზის საერთაშორისო პროექტში და ხდება რეალურად დამაკავშირებელი ხიდი აზიასა და ევროპას შორის. მას შემდეგ, რაც ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა გადადგა, მე ვიტყოდი, უპრეცედენტო ნაბიჯი და მისი პოპულარობისა და პოლიტიკური გავლენის ზენიტში მყოფმა მისივე გადაწყვეტილებით დატოვა თანამდებობა, მან შექმნა მაგალითი იმისა, როგორ უნდა აკეთოს პოლიტიკოსმა ქვეყნისთვის სასარგებლო საქმე როგორც დროული მოსვლით, ისე დროული წასვლით თანამდებობიდან.

გულწრფელად გეტყვით, რომ ჩემთვის თანამდებობა, იქნებოდა ეს შინაგან საქმეთა მინისტრობა თუ პრემიერ-მინისტრობა, ზოგადად, ხელისუფლებაში ყოფნა, არასოდეს ყოფილა ჩემი თვითმიზანი. ჩემთვის ეს არის უბრალოდ საშუალება იმისა, რომ ვემსახურო ჩემს ქვეყანას და ჩვენს ძვირფას ხალხს. ეს არის ჩემი პოლიტიკური მრწამსი. ასეთი პოლიტიკური კულტურის დამკვიდრება დაიწყო სწორედ ჩვენმა გუნდმა.

ვინაიდან ჩვენ ჯერ კიდევ ახალგაზრდა დემოკრატია გვაქვს, ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს, რა მაგალითს დავუტოვებთ ჩვენს შვილებს. რა მაგალითს მივცემთ ჩვენს მომავალ თაობას.

თანამდებობები არის დროებითი, ჩემო ძვირფასებო, მარადიული არის უფალი და სამშობლო. ამიტომ დღეს მივიღე გადაწყვეტილება, დავტოვო პრემიერ-მინისტრის თანამდებობა.

ახლა, როცა გამყარებულია ჩვენი ქვეყნის განვითარების საშინაო და საგარეო მიმართულებები, მე მინდა ვუსურვო წარმატება ჩვენს მომავალ პრემიერ-მინისტრს.

პირველ რიგში, მე მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენი ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს, ჩვენს ძვირფას ხალხს. მე მადლობას ვუხდი ჩვენს ერთგულ თანამებრძოლებს მათი თანამშრომლობისთვის და თანადგომისთვის. ყველას, ვინც ჩემთან ერთად ძალიან ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა.

მე მინდა, ასევე, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ჩემს მეუღლეს — ნუნუკას, ასევე, ჩვენს შვილებს — ნიკოლოზს, ანდრიასა და გაბრიელს. სწორედ ნუნუკას თანადგომის გარეშე მე ნამდვილად ვერ შევძლებდი ასეთი შემართებით მეკეთებინა ყველაზე ძვირფასი საქმე — ჩემი ხალხისა და ქვეყნის სამსახური.

ჩემი ოცნება არის, იყო და ყოველთვის იქნება ძლიერი და ერთიანი საქართველო. ძლიერი, ეკონომიკურად წელში გამართული ქართველი ხალხით. ამიტომ მე დღეს ვტოვებ ამ თანამდებობას, მაგრამ ვრჩები ჩემი სამშობლოს ერთგულ ჯარისკაცად.

ღმერთი იყოს ჩვენი სამშობლოს და ჩვენი ძლიერი და ამაყი ქართველი ერის მფარველი.

გმადლობთ!“









## რატომ დუმს ბიძინა ივანიშვილი?









წასულზე ან კარგს ამბობენ, ან არაფერსო... თუ სხვანაირადაა ეს გამოთქმა? ჰო, ნუ რა მნიშვნელობა აქვს, აღარ გამოვეკიდები თითოეულ სიტყვაზე ირაკლი ღარიბაშვილს და დავემშვიდობები, ოღონდ დავემშვიდობები ძალიან უკმაყოფილო და იმედგაცრუებული, რადგან 2013 წლის 20 ნოემბრიდან, როცა 32 წლის ასაკში ის პრემიერ-მინისტრი გახდა, რატომღაც გულუბრყვილოდ მჯეროდა, რომ ზუსტად ჩემი ასაკის ახალგაზრდა კაცი ქვეყნის განვითარებასა და აყვავებაზე მუხლჩაუხრელად იზრუნებდა, თუმცა...

ისე, სულ კი გაკრიტიკებდით, ბატონო ირაკლი, მაგრამ აგერ, წასვლის განცხადებაზე კრინტს აღარ ვძრავ, რასაც ვერ ვიტყვი გია ვოლსკიზე, რომელმაც წასულს, უკაცრავად კი ვარ, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ პანჩური მოგაყოლათ. რას ვგულისხმობ და აი, რა განაცხადა ბატონმა ვოლსკიმ (სტილი დაცულია):

„ვფიქრობ, ირაკლი ღარიბაშვილს გაცილებით მეტი შეეძლო ეთქვა იმ გამოწვევების შესახებ, რომელიც საქართველოს წინაშე იდგა, დაწყებული რთველის ჩაშლისა და რევოლუციური პროცესების წახალისებიდან, დამთავრებული ევროინტეგრაციის საკითხებზე, რუსეთთან ურთიერთობების იმ დუღილზე აყვანის მცდელობებზე, რომელსაც საქართველოში შეეძლო გამოუსწორებელი პროცესები დაეწყო და იმ გამოწვევებზეც, რომლებიც მიმართული იყო ჩვენი ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესების წინააღმდეგ სწორედ ამ მთავრობის, სწორედ მისი ხელმძღვანელობის პირობებში. მეტი შეეძლო ეთქვა იმ კანონპროექტებზე, რომლებიც მთავრობამ შემოიტანა და საკმაოდ სერიოზული, მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა თუნდაც სასამართლო სისტემაში, ძალოვან სტრუქტურებში. ალბათ, უნდა გვესაუბრა პენიტენციური სისტემის რეფორმის თაობაზე, მთის კანონის თაობაზე, რომელიც საგანგებო მნიშვნელობისაა. დემოგრაფიისა და ჯანდაცვის სოციალური თემების ხელშეწყობის საკითხებზე.

კონსულტაციების საკმაოდ მწყობრი სისტემაა ჩვენთან ჩამოყალიბებული, როდესაც ყველამ იცის თავისი ადგილი, როცა ყველამ იცის ის დრო, როდესაც უნდა აკეთოს განცხადებები და ბიძინა ივანიშვილსაც, რასაკვირველია, აქვს ჩართულობა, მაგრამ არა ისე, როგორც სპეკულირებენ ჩვენი ოპონენტები...“

წავიდა კაცი და რაღა საჭირო იყო ასეთი „წაკბენა“, ვერ გეტყვით, თუმცა მოდით, გია ვოლსკის აი, ამ სიტყვებზე გავამახვილოთ ყურადღება: კონსულტაციების საკმაოდ მწყობრი სისტემა გვაქვს და ყველამ იცის თავისი ადგილი, მათ შორის ბიძინა ივანიშვილმაცო. ახლა, მეტი რაღა აღიარება გინდათ — ბიძინა ივანიშვილს რა ადგილიც აქვს „ქართულ ოცნებაში“, რთული მისახვედრი არ არის. შესაბამისად, გია ვოლსკი პირდაპირ ამბობს, რომ ირაკლი ღარიბაშვილის გადაყენების კონსულტაციებში ბიძინა ივანიშვილიც მონაწილეობდაო,

რაც, რა თქმა უნდა, საერთოდაც არ არის გასაკვირი. მის გარეშე და მასთან შეთანხმების გარეშე, ირაკლი ღარიბაშვილი არც საკუთარი სურვილით წავიდოდა და მით უმეტეს, ვერც ვერავინ გაუბედავდა გაშვებას, თანაც პოლიტიკურ მოუსვლელში გაშვებას...

მოდით, ცოტა ხნით შეფასებებს შევეშვათ და იმას გეტყვით, რა ხდება, როცა პრემიერი თანამდებობას ტოვებს:

დავიწყოთ იმით, კიდევ ვის გაუყენებენ კუდიგორის გზას – არსებობს ვარაუდი, რომ პორტფელს ვერ შეინარჩუნებენ – განათლების მინისტრი თამარ სანიკიძე, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გელა დუმბაძე, ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი.

პრემიერ-მინისტრის მოვალეობას ვიცე-პრემიერი, საგარეო საქმეთა მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ასრულებს, რომელიც, ყველაზე პოპულარული ვერსიით, სავარაუდოდ, დაიკავებს კიდეც ირაკლი ღარიბაშვილის თანამდებობას. კვირიკაშვილს კი მისი პირველი მოადგილე მიხეილ ჯანელიძე შეცვლის.

გავაგრძელოთ – ღარიბაშვილის გადადგომის შემდეგ უფლებამოსილება მინისტრთა კაბინეტის ცხრამეტივე წევრს ავტომატურად შეუწყდა და ისინი ახლა მინისტრის მოვალეობის დროებითი შემსრულებლები არიან.

გაგრძელება მე-6 გვერდზე



# ვალერი გელბახიანი: „ივანიშვილი ამ ნაბიჯით გამოდის მართალი, ღარიბაშვილი — მტყუანი“

**რა ცვლილებები მოჰყვება ღარიბაშვილის წასვლას? სად შეიძლება ვიხილოთ ყოფილი პრემიერი? ვინ რჩება მოგებული სამთავრობო ცვლილებებით და რა ხდება „ოცნების“ კულუარებში?**

პრემიერ ღარიბაშვილის გადადგომა საზოგადოების უმეტესობისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. „ქართული ოცნების“ დეპუტატების უმრავლესობაც კი, დაბნეული იყო და წარმოდგენა არ ჰქონდათ, რა ხდებოდა მათ გუნდში.

რატომ იყო სიურპრიზი ღარიბაშვილის გადადგომა? რა ცვლილებები მოჰყვება მის წასვლას? ვინ დატოვებს მთავრობაში მინისტრის პოსტს და ვინ შეცვლის მათ? სად შეიძლება ვიხილოთ აწ უკვე ყოფილი პრემიერი? ვინ იქნება მისი ადგილმონაცვლე? ვინ რჩება მოგებული სამთავრობო ცვლილებებით და რა ხდება „ოცნების“ კულუარებში?

**„ალიას“ ესაუბრება იურისტი ვალერი გელბახიანი, რომელმაც ჩვენთან საუბარში ღარიბაშვილის გადადგომა და მოსალოდნელი სცენარები ჯერ კიდევ თვეების წინ დააანონსა:**

**— ძალიან მოულოდნელად გადადგა ღარიბაშვილი, რა შეიძლება მომხდარიყო?**

– აუცილებლად მოუწევდა გადადგომა არსებულ სიტუაციაში. წინასაარჩევნო პროცესი კარზეა მომდგარი, ეს მთავრობა ყოველდღე დგამდა არაპოპულარულ ნაბიჯებს, არანაირი წინსვლა არ არის ფინანსურად, ეკონომიკურად, სოციალური ფონი მძიმეა. გარდა ამისა, პოლიტიკური სკანდალი დაიწყო პარლამენტის უმრავლესობაში, ვგულისხმობ, შეწყალების საქმეზე ელისაშვილის აქტიურობას და ხელისუფლება იძულებული გახდა, რაღაც ნაბიჯი გადაედგა, რადგან უცხოეთში ასეთ სკანდალებს დიდ ყურადღებას აქცევენ. ეს მარტივი ამბავი მართლა არ არის. აქედან გამომდინარე, მე რომ ვფიქრობდი, ცვლილებები მოხდებოდა მაისში, დააჩქარა ამ მოვლენებმა. გარდა ამისა, მმართველი პარტიის რეიტინგი არის ძალიან დაცემული, ასეთ შემთხვევაში რჩება ერთადერთი საშუალება, რომ მომხდარიყო ცვლილებები. ივანიშვილმა ეს ყველაფერი შეაფასა, იფიქრა, რომ წლის ბოლოს თუ გადადგამდა ამ ნაბიჯს, სიტუაციას მეტ-ნაკლებად შეცვლიდა. გამომდინარე აქედან, საახალწლო სიურპრიზი გააკეთა და მოსახლეობისთვის ცნობილი გახდა, რომ მთავრობა შეიცვლება.

**— ყველამ იცის საქართველოში, რომ სიტუაციას მართავს ივანიშვილი და ახალ პრემიერად, ან მინისტრებად ვინც არ უნდა დაინიშნოს, ამით არაფერი შეიცვლება.**

— მთლად მასეც არ არის, როდესაც ივანიშვილი აპირებს არჩევნებზე მოსვლას ახალი დაპირებებით, სათქმელი უნდა ჰქონდეს, ჩვენ დაპირებები იმიტომ ვერ შევასრულეთ, რომ ვენდე ამ ახალგაზრდა ადამიანებს, მაგრამ ნდობა არ გაამართლეს და საჭირო იყო სიტუაციის გამოსწორება. ივანიშვილი ამ ნაბიჯით გამოდის მართალი, ღარიბაშვილი — მტყუანი, ეს არის პოლიტიკური ტექნოლოგია.

**— და პრემიერის შეცვლით რა იცვლება მოსახლეობისთვის?**

– ჩემი აზრით, სულ უნდა შეიცვალონ მინისტრები, იმიტომ, რომ კაბინეტი შეიცვალოს თვისობრივად, რადიკალურად და ახალი მთავრობის მიმართ მოსახლეობას მეტი იმედები გაუჩნდეს.

**— რამდენიმე მინისტრი სახელდება, ვინც შეიცვლება — ზაქარეიშვილი, სანიკიძე, ხადური და გელა დუმბაძე. თქვენი ინფორმაციით, ვინ დატოვებს პოსტს?**

— მე როგორც ვიცი, მინისტრებიდან დარჩება მხოლოდ ჯანდაცვა და ლტოლვილთა მინისტრი, დანარჩენი შეიცვლება. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოვა, რომ ღარიბაშვილი იყო ცუდი და დანარჩენები კარგები არიან, ამიტომაც შეიცვლება.

**— კახიშვილს რაღას ერჩიან, ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მინისტრია...**

– მე როგორც ვიცი, ისიც მიდის, იყო მსგავსი საუბრები.

**— თანამდებობებზე ახალ კადრებად ვინ მოიაზრება, გაქვთ ინფორმაცია?**

– უცნობი სახეები იქნებიან, ცნობადს არავის შეიყვანენ, არ უნდა ასოცირდებოდნენ ეს ადამიანები ამ ხელისუფლებასთან.

**— ორი მთავრობის ფორმირება გვახსოვს — ივანიშვილის და ღარიბაშვილის. მაშინ სერიოზული კრიტიკა იყო ექსპერტების მხრიდან, რომ ჩვენნაირ ქვეყანაში აუცილებელია კოალიციური მთავრობის შექმნა. როგორ ფიქრობთ, „ოცნების“ წარმომადგენელთა გარდა, ვინმე მოხვდება კაბინეტში?**

– მე მაინც ვფიქრობ, რომ ეს არ იქნება მუდმივი მთავრობა, ეს იქნება დროებითი, გარდამავალი, მაგრამ როდესაც არჩევნების შემდეგ დაიწყება ახალი მთავრობის ფორმირებაზე ფიქრი, მაშინ გავიგებთ, რას იზამენ. თუმცა, არა მგონია, სხვა ვინმე შეიყვანონ. ამიტომაც ვარ დარწმუნებული, რომ ეს იქნება გარდამავალი მთავრობა, რომელიც ქვეყნის მართვას მიიყვანს საშემოდგომო არჩევნებამდე.

**— ცნობადი პირებიდან ღარიბაშვილის პოსტზე კანდიდატებად სახელდებიან — კვირიკაშვილი, სერგეენკო და ქუმსიშვილი. მათგან რომელი შეიძლება წარადგინოს ივანიშვილმა?**

– ღარიბაშვილის გუნდიდან ვერც ერთი ვერ მოვა პრემიერად... მაშინ, რა გამოდის, ღარიბაშვილი არ ვარგოდა და დანარჩენები კარგები იყვნენ?

**— ღარიბაშვილზე რამე იცით? სად შეიძლება მოვიაზროთ?**

– ღარიბაშვილი, პირველ ყოვლისა, შეიძლება ვიხილოთ „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის პირველ ნომრად, ან კიდევ პროფესიული მიმართულებით – ეროვნული ბანკის პრეზიდენტად. ყველაფერი მაინც პოლიტიკურ შეთანხმებაზეა დამოკიდებული.

**— პრეზიდენტის ადმინისტრაციაში განაცხადეს, რომ პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ბრძანებას — მინისტრები მოვალეობის შემსრულებლებად დატოვა. როგორ ფიქრობთ, პრემიერობის მომავალი კანდიდატი პრეზიდენტთან შეთანხმებული იქნება? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ ყველასთვის ცნობილია ივანიშვილისა და მარგველაშვილის დაპირისპირების შესახებ.**

— არაფერი შეუშლის ხელს მარგველაშვილს, რომ არ წარადგინოს დასახელებული კანდიდატი. მაგრამ გააჩნია, ვინ დაეკონტაქტება პრეზიდენტს ამ კანდიდატთან დაკავშირებით, მეექვსე და მეშვიდე რანგის პირებს არც დაელაპარაკება. თუ ივანიშვილმა იკადრა პრეზიდენტთან დალაპარაკება, ან პარლამენტის თავმჯდომარე (მით უმეტეს ერთ-ერთ კანდიდატად უსუფაშვილი განიხილება), მაშინ შესაძლებელია, მოიძებნოს საერთო ენა. სხვა შემთხვევაში ცოტა საეჭვოდ მიმაჩნია.

**— მერე, უღირს უსუფაშვილს არჩევნებამდე გარდამავალი მთავრობის პრემიერობა?**

– ეგ უსუფაშვილმა უნდა ახსნას.

**— პროცედურულად მოვისმინეთ, რა და როგორ არის, მმართველმა პარტიამ უნდა წარადგინოს კანდიდატი, პრეზიდენტი დაეთანხმოს და წარუდგინოს პარლამენტს და უმრავლესობით ირჩევენ. მერე უკვე პრემიერი წარადგენს გუნდს. მერე რა ხდება იმ შემთხვევაში, თუკი უმრავლესობა მინისტრობის რომელიმე კანდიდატს მხარს არ დაუჭერს?**

– ზოგადად, მთავრობას სჭირდება პარლამენტის ნდობა, ეს ნიშნავს, რომ მთელი მთავრობაა არჩეული. იმ კანდიდატს ცალკე ეყრება კენჭი, მთავრობას – მთლიანობაში, მთავრობის პროგრამის მოსმენის შემდეგ კენჭი ეყრება, ანუ ნდობას გამოუცხადებს.

**— ივანიშვილისა და მარგველაშვილის დაპირისპირებიდან გამომდინარე, პრეზიდენტმა შურისძიება თუ მოინდომა, შეიძლება პრემიერობის კანდიდატები ჩააგდოს და ვადამდელ არჩევნებამდე მივიდეთ?**

– არ ესწრება ვადამდელი არჩევნები, დრო აღარ რჩება, საარჩევნო კამპანია მაისიდან იწყება. პრეზიდენტს კრიზისის შექმნა შეუძლია, მაგრამ ხელოვნურად კრიზისს არ გამოიწვევს ისეთი მდგომარეობაა ქვეყანაში.

**— პრემიერის ცვლილებასთან დაკავშირებით გარედან ჩარევას გამორიცხავთ?**

– შეიძლება მოხდეს ისეთი ჩარევა, რომელიც რეგულაციური სახისაა, თუ რაღაცა კრიზისი წარმოიშვა, შეიძლება ჩამოვიდნენ ამერიკელები, ევროპელები და უთხრან, რომ ძირითად საკითხებზე შეთანხმდნენ და არ შეგექმნებათ პრობლემები და არავითარ შემთხვევაში არ იქნება ისე, რომ ვიღაცამ თქვას, ეს უნდა იყოს პრემიერი.

**— რატომ, თავდაცვის მინისტრი ხომ ამერიკელებმა დაგვინიშნეს?**

– თავდაცვის მინისტრი სხვა საკითხია, აქ მათი სტრატეგიული ინტერესებიც არის...

**— მაინც გაუგებარია, იმ ყველაფრის ფონზე, რაც პრემიერმა ანგარიშის წარდგენის დროს ილაპარაკა, მათ შორის წარმატებებზეც და რეფორმებზე, ამის მერე მის გადადგომას რით დაასაბუთებს ივანიშვილი? თუკი ღარიბაშვილი მართლაც წარმატებული იყო, მაშინ, რატომ ცვლიან?**

— თქვენს გაზეთში მე ვისაუბრე, რომ მან ყველაფერი ტყუილი თქვა და არაფერი სწორი არ იყო მის ნათქვამში. მაგრამ მე ის უფრო მენიშნა, რომ პრემიერმა ანგარიში გააკეთა ცოტა ნაადრევად და არა, ახალ წელთან ახლოს, დეკემბრის ბოლოს — 28, 29, 30 დეკემბერს. ეს რომ ამ დროს გაეკეთებინა, ჩავთვლიდი, რომ პრემიერმა წინასაახალწლო ანგარიში წარადგინა, მაგრამ, რადგან აქეთ გადმოიწია, ბუნებრივია, კითხვას აჩენს — რატომ გადმოწია? ამის ეჭვი არსებობდა, თუმცა ახლა ვფიქრობ, ღარიბაშვილის გადაყენება გადაწყვეტილი იყო და მან მოითხოვა, ანგარიში ჩაებარებინა და მერე წასულიყო.

**— კარგად გვახსოვს, ივანიშვილმა ღარიბაშვილი როგორი ზარ-ზეიმით წარადგინა, მისი გადადგომის შემდეგ კი, ორსიტყვიანი კომენტარიც კი არ გაუკეთებია. როგორ ფიქრობთ, რატომ?**

– აუცილებლად დაიდება მისი განცხადება, რა თქმა უნდა, ღარიბაშვილის საქმიანობას აუცილებლად შეაფასებს, მის საქებარ სიტყვებს არ დაიშურებს, მაგრამ, როცა საარჩევნო კამპანია დაიწყება, ივანიშვილი აუცილებლად იტყვის, რომ ღარიბაშვილმა ვერ გაამართლა...

**— და იმას როგორ გაამართლებს, რომ თუ მთავრობის მეთაურად არ ივარგა, ის პარტიული სიის პირველი ნომერი რატომ ხდება?**

– აღმასრულებელი ხელისუფლების მუშაობა სპეციფიკურია, პარტია მაინც პოლიტიკური პროცესია და ამ სიაში ერთი ადამიანის ნუმერაცია დიდს არაფერს წყვეტს.

**— კულუარებიდან ხომ არაფერი შეგიტყვიათ, რას ამბობენ ღარიბაშვილის გადადგომაზე უმრავლესობაში?**

— თქვენს გაზეთში რომ ჩემი ინტერვიუ დაიბეჭდა, უმრავლესობის ერთმა დეპუტატმა მითხრა, რად გინდა ასეთი სიტყვებით საუბარი, ღარიბაშვილს ასე რატომ აკრიტიკებო? მიმტკიცებდა, რაც არ უნდა აკრიტიკო, კარგად მუშაობს და პრემიერად ბოლომდე დარჩებაო. დღეს დავურეკე და დაღონებულმა მითხრა, ვერ წარმოიდგენ, როგორ არ მინდოდა, შენს ზარზე მეპასუხაო.

**— მთელი დღის მანძილზე „ქართული ოცნების“ დეპუტატები დაბნეულები გამოიყურებოდნენ. ვოლსკი იყო ერთადერთი, რომელმაც ჩამოყალიბებული პასუხი გასცა. გამოდის, არ იყო შეთანხმებული ღარიბაშვილის გადადგომა პარტიასთან?**

– ასეთ გადაწყვეტილებებს ივანიშვილი არავის არ უთანხმებს, მით უმეტეს, რიგით დეპუტატებს.

**— რომ შევაჯამოთ, ამ სამთავრობო ცვლილებით მოგებული ვინ რჩება. მარტო ივანიშვილი, რომ წინასაარჩევნო კამპანიის დროს ქვეყნის მძიმე მდგომარეობა მას გადააბრალოს?**

– ივანიშვილს თავისი გეგმები აქვს, ამიტომ ეს ცვლილებებიც ადეკვატურია იმ რეალობისა, რასაც ვხედავთ, თუმცა ეჭვით ვუყურებ, რომ ივანიშვილს ამ ყველაფრიდან ჰქონდეს სხვა რაიმე მოგება.

**„ალია“**

## პუშკოვი რუსეთსა და საქართველოს შორის სავიზო რეჟიმის გაუქმების პირობებს ასახელებს

რუსეთსა და საქართველოს შორის სავიზო რეჟიმი იმ შემთხვევაში გაუქმდება, თუ თბილისი ადეკვატურ საგარეო პოლიტიკას განახორციელებს და აშშ-ს, ევროკავშირსა და რუსეთთან ურთიერთობებს დააბალანსებს.

ამის შესახებ რუსეთის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ ალექსეი პუშკოვმა განაცხადა.

მისი თქმით, რუსეთმა არაერთხელ მიანიშნა თბილისს, რომ ორმხრივი ურთიერთობის გაუმჯობესებისთვის მზად არის.

„საქართველოში არსებობს რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების სურვილი. ამასთანავე, საქართველოში ჯერ კიდევ შენარჩუნებულია ანტირუსული პოლიტიკა. ყველაზე ნათლად ის ევროპის საპარლამენტო ასამბლეაში შეინიშნება, სადაც ქართულ დელეგაციას, პირველ რიგში, სააკაშვილის პარტიის წარმომადგენლებს რუსეთის მიმართ სუპერრადიკალური პოზიცია აქვთ და ანტირუსული რეზოლუციების მიღებას მოითხოვენ“, – განაცხადა პუშკოვმა.

პუშკოვის თქმით, თუ საქართველოში რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზების მომხრე პოლიტიკური ძალების კონსოლიდაცია მოხდება, ორმხრივ ურთიერთობებს კარგი პერსპექტივა ექნება. (kvira.ge)

## პროკურატურის ინფორმაციით, დავით პეტრიაშვილის გარდაცვალების ფაქტზე არავინ დაუკავებიათ



უეფას ეროვნულ ფედერაციებთან ურთიერთობის მენეჯერის, დავით პეტრიაშვილის გარდაცვალების ფაქტზე დაკავებული არავინ არის, – ამის შესახებ მთავარი პროკურატურის პრესსამსახურში აცხადებენ. უწყების ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება გრძელდება. პროკურატურა ადასტურებს, რომ დავით პეტრიაშვილი საპატრულო პოლიციის ეკიპაჟის დაჯახების შედეგად გარდაიცვალა.

შემთხვევა 21 დეკემბრის გამთენიისას პეკინისა და ბახტრიონის ქუჩების კვეთაზე მოხდა. პეტრიაშვილი ქვეითად გზაზე გადადიოდა, რა დროსაც საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი დაეჯახა. საქმეს მთავარი პროკურატურა იძიებს. ძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევას, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. დავით პეტრიაშვილი იკავებდა უეფა-ს და ფიფა-ს მატჩების დირექტორის თანამდებობას, იყო მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების საორგანიზაციო კომიტეტის წევრი და თბილისის „დინამოს“ ყოფილი მმართველი დირექტორი. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ჰილარი კლინტონი შეშფოთებულია — ტრამპი „ატრამპებს“ და... ტერორისტებს ეხმარებაო



ჰილარი კლინტონმა დონალდ ტრამპს პრეტენზია წაუყენა იმის გამო, რომ ის თავისი დაუფიქრებელი გამონათქვამებით **ISIS**-ს ეხმარება.

სიტყვით გამოსვლისას კლინტონმა განაცხადა, რომ „ისლამური სახელმწიფო“ იყენებს ტრამპის მიერ ისლამისა და მუსლიმანების შეურაცხმყოფელ ვიდეოებს, რათა ჯიჰადისტების მხარეს უფრო მეტი ადამიანი გადაიბიროს.

– თქვენ იცით, რომ მთელი მსოფლიო ყურადღებით აკვირდება ჩვენს ქვეყანაში არჩევნებს. თუ დაინტერესდებით, ნახავთ, რომ არაბული ტელევიზიები გამუდმებით აჩვენებენ ტრამპის წინასაარჩევნო გამონათქვამებს, სადაც ის აშშ-ში მუსლიმანების შესვლას აპროტესტებს. ამას რადიკალი ისლამისტები თავისი პროპაგანდისთვის მშვენივრად იყენებენ, რათა დაანახონ ისლამის მიმდევრებს, რომ ამერიკა მათი მტერია და უფრო მეტი ხალხის გადაბირება შეძლონ. ტრამპის რიტორიკა, კერძოდ კი, მისი ინიციატივა, რომ მუსლიმანებს აშშ-ში შესვლა აეკრძალოთ, არა მხოლოდ საშიში, არამედ სამარცხვინოცაა. ადამიანი, რომელიც ამერიკის პრეზიდენტობისთვის კენჭისყრას აპირებს, ასე არ უნდა ლაპარაკობდეს. ამან შეიძლება ცუდი შედეგი გამოიღოს, რეალური შედეგი, – აღნიშნა მან. (postalioni.com)

## ახალი წლის ღამეს მეტროთი და საბაგიროთი სარგებლობა უფასო იქნება




ახალ წელს მეტროპოლიტენითა და „რიყე-ნარიყალას“ საბაგიროთი სარგებლობა უფასო იქნება, – ამის შესახებ დედაქალაქის მერმა დავით ნარმანიამ თბილისის მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

მისი განმარტებით, სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით მეტრო და საბაგირო გზა „რიყე-ნარიყალა“ გახანგრძლივებული გრაფიკით იმუშავებს და უფასო იქნება.

კერძოდ, 2015 წლის 31 დეკემბერს, 23:00 საათიდან 2016 წლის 1-ლი იანვრის 04:00 საათამდე. ასევე, შობას, 2016 წლის 6 იანვრის 23:00 საათიდან, 2016 წლის 7 იანვრის 04:00 საათამდე მეტროთი მგზავრობა უფასო იქნება. მოქალაქეები შეძლებენ, უფასოდ გადაადგილდნენ საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ 2015 წლის 31 დეკემბრის, 23:00 საათიდან 2016 წლის 1-ლი იანვრის 03:00 საათამდე. (bpn.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...


ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37

იუსტიციის საბჭოს მდივანი ლევან მურუსიძე სასამართლო სისტემიდან წასვლას არ აპირებს. მისი თქმით, როცა მან სანდრო გირგვლიანის მკვლელებს სასჯელი ჩამოაკლო, კანონიერად მოიქცა. ასევე, კანონის ფარგლებში მოქმედებდა მაშინაც, როცა სულხან მოლაშვილს 8 წელი მიუსაჯა. მურუსიძე არ უარყოფს, რომ სააკაშვილის რეჟიმის დროს მოსამართლეებს ხელ-ფეხი ჰქონდათ შეკრული და ფაქტობრივად, მარიონეტები, ძალოვანი უწყებების ნების უსიტყვო აღმსრულებლები იყვნენ. ფაქტიურად, ხელშეუხებლობის იმუნიტეტი მიანიჭა, როცა განაცხადა, წესიერი ადამიანი გავიცანიო.

**მურუსიძის განცხადებებზე, მისი მოსამართლედ დანიშვნის შანსებზე და სხვა საინტერესო საკითხებზე, „ალიას“ ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, ზაზა ხატიაშვილი ესაუბრება:**

**— ბატონო ზაზა, ლევან მურუსიძე სააკაშვილის რეჟიმის მსხვერპლად ცდილობს თავის წარმოჩენას, პატიოსან მოსამართლეობაზე თავხედურად დებს თავს — რა ვქნა, იმ დროის მოსამართლეები სხვაგვარად ვერ მოვიქცეოდით, რაც კანონები იყო, იმ კანონის ფარგლებში ვმოქმედებდითო.**

ჰქონდეს, საერთოდ არ ახსენებდა ირინა ენუქიძის სახელს. მურუსიძემ და სააკაშვილის ხელისუფლების სხვა მონებმა გააუბედურეს ირინა ენუქიძე, ზოგმა შვილი მოუკლა, ზოგმა კიდევ შეიწყალა მათი მკვლელები, ან სასჯელი დააკლო. ეს მურუსიძემ გააკეთა, კაცო, და ეს უკვე ზღვარგადასული ცინიზმია, როცა მურუსიძე ირინა ენუქიძეს ახსენებს. დიახაც, დღეში ასჯერ უნდა შევახსენოთ საზოგადოებას, იუსტიციის საბჭოს წევრებს, რომ ლევან მურუსიძე იყო სანდრო გირგვლიანის საქმის მოსამართლე, რომ არ აირჩიონ ის. რომელ ზეწოლაზე ლაპარაკობს, მით უფრო პოლიტიკურზე? მაგ კაცმა და, ხალხი მოსთხოვს მალე პასუხს ივანიშვილს, ამ პასუხს კი 2016 წლის არჩევნებზე მიიღებენ ივანიშვილი და მისი „ქართული ოცნება“, მათ ხალხი მხარს არ დაუჭერს და ეგ იქნება.

**— თქვენ „ალიასთან“ ინტერვიუში განაცხადეთ — ლევან მურუსიძის მოსამართლედ არჩევა იუსტიციის საბჭოში „ქართული ოცნების“ 3 წევრის — ევა გოცირიძის, პაატა სოფრომაძისა და გურამ გოგოხიას ხელშია, ხმა თუ არ მისცეს, მოსამართლედ ვერ დაინიშნებაო. ხომ არ იცით, მათი პოზიცია, აძლევს რომელიმე ხმას მურუსიძეს?**

– არა, რამდენადაც ვიცი, არც ერთი არ აპირებს მურუსიძის არჩევას, არა მგონია, ასე მოხდეს.

# ზაზა ხატიაშვილი: „ღარიბაშვილს თეა წულუკიანი უნდა მიჰყვეს. ბიძინა ივანიშვილმა მას დაავალა სასამართლო სისტემის რეფორმირება, მან კიდევ, ყველაფერი ჩააოხრა“

**„ჩვენ ირაკლი ღარიბაშვილისთვის არ მიგვიცია ხმა. არც თეა წულუკიანისთვის, ჩვენ ბიძინა ივანიშვილი ავირჩიეთ და მან უნდა შეუსრულოს პირობა ხალხს“**





*„მინდა მივმართო საზოგადოებას, მინდა მივმართო შვილმკვდარ მამას და ყველას, რომ ერთადერთი, რასაც მაშინ ითხოვდნენ სასამართლოსგან, ის იყო, რომ მოსამართლეს გაეხადა მოსამართლის მანტია. შესაბამისად, აღჭურვილიყო პროკურორის უფლებამოსილებით და გარდა შემსრულებლებისა, ვინც აღნიშნული დანაშაული მოახდინა, ემოქმედა ისე, რომ პასუხისგებაში მიეცა, ასევე, სხვა პირები, რომლებიც იყვნენ აღნიშნული დანაშაულის ორგანიზატორები. მოსამართლეებსაც ჰქონდათ ხელ-ფეხი შეკრული, მოსამართლეებსაც არ შეეძლოთ, რომ მიეღოთ ის გადაწყვეტილება, რომელიც შეიძლება საზოგადოებას სამართლიანად მიაჩნდა“,*

– აცხადებს უსირცხვილოდ ლევან მურუსიძე.

**უსირცხვილოდ იმიტომ, რომ ამის თქმისთვის, სააკაშვილის სასამართლო სისტემის მხილებისთვის, მას 3 წელი ჰქონდა, მაგრამ დღემდე ხმა არ ამოუღია.**

სხვათა შორის, მურუსიძეს ლოგიკურად პასუხობენ „ნაციონალები“ – თუ მაგ ამბებში გასვრა არ გინდოდა, ან საქმე უკან დაგებრუნებინა გამოძიებაში, ან საქმის მასალები მიგეცა სანდრო გირგვლიანის დედის, ირინა ენუქიძისთვისო, მაგრამ მას მსგავს რამეზე არც კი უფიქრია, მხოლოდ მაშინ ალაპარაკდა, როცა მის კარიერას დაუმუქრა საფრთხე.

ლევან მურუსიძე კვლავ გააფთრებით იბრძვის, რომ სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ უვადოდ აირჩიონ და

**თუ ეს მოხდა, ეს ხელისუფლება, დიდიან-პატარიანად კეტით უნდა გარეკო (რასაც ვერ იტყვი თინა ხიდაშელზე, რომელმაც განაცხადა — როცა მურუსიძის არჩევის გადაწყვეტილებაზე მიდგება საქმე, ირინა ენუქიძე უნდა გახსოვდეთო), ბიძინა ივანიშვილის თამადობით, რადგან ის არის მოთავე ბევრი უბედურებისა,**

რაც დღეს ქვეყანაში ხდება, მან დააფარა ხელი ლევან მურუსიძეს და

– ლევან მურუსიძე არის სასამართლო ხელისუფლების, სამოქალაქო საზოგადოების მტერი და სირცხვილი, ეგ კაცი იყო სააკაშვილის რეჟიმის ერთ-ერთი საყრდენი. არ შეიძლება, ხალხო, მაგის სააპელაციო სასამართლოში დანიშვნა, თანაც, უვადოდ. ეს ქართველი ხალხის შეურაცხყოფაა, ეს არის ხალხის აბუჩად აგდება. როგორ შეიძლება, ახლა, მე და შენ, საერთოდ იმაზე ვლაპარაკობდეთ, სანდრო გირგვლიანის საქმის მოსამართლე უნდა დარჩეს თუ არა სასამართლოში? მურუსიძემ პასუხი უნდა აგოს იმისთვის, რაც დააშავა, თუნდაც სანდრო გირგვლიანის საქმეზე. მურუსიძის წასვლა არის პრინციპული საკითხი, ეგ კაცი სასამართლოს რომ მოშორდება, სხვა მურუსიძეებიც მიჰყვებიან მას. ეგ თუ დაინიშნა სააპელაციოს მოსამართლედ, მაშინ კვლავ დაიწყება ის უკანონობები, რაც სასამართლო სისტემაში ხდებოდა. მურუსიძე შეგვიძლია განვიხილოთ სააკაშვილის უნამუსო მოსამართლეთა კლანის ლიდერად და ეს კაცი უნდა მოშორდეს თავის კლანიანად. ლევან მურუსიძე ვერ იქნება თავისუფალი მოსამართლე, როგორი პირობებიც არ უნდა შეუქმნა, როგორი კანონებიც არ უნდა მისცე ხელთ. ეგ კაცი არის მონა, სხვისი დაკვეთების შემსრულებელი. გუშინ „ნაციონალების“ დაკვეთას ასრულებდა, თუ დანიშნეს, ხვალ „ქართული ოცნებისას“ შეასრულებს.

**— პრესკონფერენციაზე მურუსიძემ ირინა ენუქიძეც ახსენა, რომელიც პრეზიდენტმა თამარ მეფის ორდენით დააჯილდოვა. მისი თქმით, ირინა ენუქიძე ღირსეული ქალბატონი იყო, ამ ჯილდოს იმსახურებდა, მაგრამ ამის ახლა გაკეთება, როცა პარასკევს წყდება იუსტიციის საბჭოში მოსამართლეთა და არჩევის საკითხი, ეს გადაწყვეტილება ამ პროცესზე პოლიტიკურ ზეგავლენას მოახდენსო.**

– ლევან მურუსიძეს ნამუსი რომ ნამუსი საერთოდ დაკარგა, ოღონდ მოსამართლედ დაინიშნოს, ყველაფერზე მიდის, უკადრისს კადრულობს.

**მურუსიძის იუსტიციის საბჭოს მდივნად არჩევა იყო ირაკლი ღარიბაშვილის ბრალი. ეგ მფარველობდა მურუსიძეს. კი, ღარიბაშვილი წავიდა, მურუსიძეს და მის კლანსაც ცუდად წაუვათ საქმე, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მას სხვა მფარველები არ ჰყავს და მთლად უპატრონოდ დარჩა. ღარიბაშვილს თეა წულუკიანი უნდა მიჰყვეს. ბიძინა ივანიშვილმა მას დაავალა სასამართლო სისტემის რეფორმირება, მან კიდევ, ყველაფერი ჩააოხრა, ჩიხში შეიყვანა თავისი გაუაზრებელი საკანონმდებლო ცვლილებებით რეფორმა. მათი ბრალია, ზოგადად, მართლმსაჯულების სისტემიდან რომ ვერ მოვიშორეთ სააკაშვილის ნარჩენები და საზოგადოება დარჩა მოტყუებული. ეს ორი ადამიანია პასუხისმგებელი მურუსიძის ასეთ გათამამებაზეც და ბევრ სხვა უბედურებაზეც, რაც სასამართლოში, პროკურატურასა და პოლიციაში ხდება.**

**— ირაკლი ღარიბაშვილმა, დავიჯერო, ბიძინა ივანიშვილთან შეთანხმების გარეშე გაუხსნა გზა მურუსიძეს?**

– კი, მე ასე მგონია. მართალია, ივანიშვილია ამ ქვეყნის გამგებელი, მაგრამ ვფიქრობ, ღარიბაშვილმა ის დაარწმუნა, მურუსიძე კარგი კაციაო და ივანიშვილმაც ხელი აღარ შეუშალა იუსტიციის საბჭოს მდივნად მის არჩევას. ისე, ივანიშვილმა უნდა აიღოს ვალდებულება, რომ ასეთი ხალხი მოგვაშოროს, ჩვენ ირაკლი ღარიბაშვილისთვის არ მიგვიცია ხმა. არც თეა წულუკიანისთვის, ჩვენ ბიძინა ივანიშვილი ავირჩიეთ და მან უნდა შეუსრულოს პირობა ხალხს – „ნაციონალების“ ნარჩენებისგან გაწმინდოს ქვეყანა, „ლევან მურუსიძეები“ მოაშოროს და აღადგინოს სამართლიანობა. თუ არა-

**— ამ სამეულზე რაიმე ზეწოლა ან სხვა სახის მცდელობა ხომ არ ყოფილა, რომ მურუსიძისთვის მხარი დაეჭირათ.**

– მსგავსი არაფერი მსმენია, არა მგონია, რაიმე მაგდაგვარი რომ ყოფილიყო, სავარაუდოდ, მეცოდინებოდა.

**— ხელისუფლებიდან თინა ხიდაშელმა განაცხადა, სანდრო გირგვლიანის საქმის მოსამართლე, არ შეიძლება, მოსამართლედ აირჩიონ, ირინა ენუქიძე უნდა ახსოვდეთო. მოკავშირე გაგიჩნდათ ხელისუფლებაში და ხომ არ დაკავშირებიხართ, ერთობლივი ძალით რომ ებრძოლოთ მურუსიძეს?**

**— მადლობა მინდა ვუთხრა თინა ხიდაშელს ამ ვაჟკაცური განცხადებისთვის, „ქართულ ოცნებაში“ ბევრი კაცი ხმას ვერ იღებს ლევან მურუსიძეზე და სხვა უსამართლობაზე და ხიდაშელმა მათ აჯობა.**

კონსულტაციები არ გვქონია „რესპუბლიკელებთან“, მაგრამ ერთი საქმისთვის რომ ვიბრძვით, ეს კარგია და იმედია, გავიმარჯვებთ.

**— თქვენ „ალიას“ განუცხადეთ, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებს, მანანა კობახიძეს, ეკა ბესელიასა და თეა წულუკიანს გადაეცით სააკაშვილის რეჟიმის დროს გამოტანილი უკანონო გადაწყვეტილებები, მაგრამ დამალესო. ჩვენთან ინტერვიუში თქვით, რომ 2-3 დღეში გაასაჯაროებდით ამ გადაწყვეტილებებს.**

**— კიდევაც გავასაჯაროებ. „ალიას“ და „კვირის ქრონიკას“ ექსკლუზიურად მივცემ ამ გადაწყვეტილებას და დაბეჭდეთ, თუ დაგჭირდათ, კომენტარებსაც გავუკეთებ ყველა გადაწყვეტილებას.**

ეს უკანონობა უნდა იხილოს საზოგადოებამ, ხალხმა უნდა იცოდეს, ხელისუფლების წარმომადგენლებმა, მათ შორის იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა, რაზე დახუჭეს თვალი და ამას ხალხი თქვენი გამოცემების მეშვეობით შეიტყობს.

## 25 დეკემბერი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრების დღეა



25 დეკემბერი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის აღსაყდრების დღეა. როგორც გორისა და ატენის მიტროპოლიტმა ანდრია გვაზავამ განაცხადა, ამასთან დაკავშირებით სადღესასწაულო ლოცვა 24 დეკემბერს 18:00 საათზე, სიონის საპატრიარქო ტაძარში შესრულდება, ხოლო სადღესასწაულო საღმრთო ლიტურგია წმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში 25 დეკემბერს, 10:00 საათზე, დაიწყება. 25 დეკემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ინტრონიზაციის 38-ე წელი სრულდება. ილია მეორის ინტრონიზაცია 1977 წლის 25 დეკემბერს სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში მოხდა. (ინტერპრესნიუსი)

## ჯავაში განთავსებული ფრთოსანი „ისკანდერი“ — რეალური საფრთხე თუ კრემლის მორიგი პროვოკაცია?



დეკემბრის დასაწყისში ცნობილი გახდა, რომ მოსკოვმა ოკუპირებულ სამაჩაბლოში, კერძოდ კი ჯავაში, „ისკანდერის“ ტიპის ოპერატიულ-ტაქტიკური კომპლექსები განათავსა. საინტერესო ისაა, რომ 2008 წლის ომის შემდეგ, ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც რუსეთმა ოკუპირებულ ტერიტორიებზე თანამედროვე შეიარაღების განლაგების ფაქტი აღიარა. არადა რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ მხოლოდ ცხინვალის რეგიონში რუსებმა ათეულობით ტანკს, ჯავშანტრანსპორტიორს, საარტილერიო დანადგარს მოუყარეს თავი. მათ შორისაა რეაქტიული „სმერჩებიც“. მისი 300 მმ-იანი რაკეტა მიზანს 90 კმ-ზე წვდება. საქართველოს თავდაცვის უწყებამ „ისკანდერების“ განთავსებაზე შესაბამისი კომენტარი უკვე გააკეთა. გენერალური შტაბის უფროსის, ვახტანგ კაპანაძის თქმით, სარაკეტო კომპლექსი არ არის განკუთვნილი საქართველოსთვის და მასთან დაკავშირებით მოსკოვს უფრო შორსმიმავალი გეგმები აქვს.

აფხაზეთში მყოფ „ცისფერჩაფხუტიანებს“, 1-ლი სარაკეტო ბრიგადა ჯერ კიდევ 2007 წელს შეემატა. ომის პირველივე დღეს რუსებმა ოჩამჩირიდან ფოთს „ტოჩკა-უ“-ს („ისკანდერის“ წინამორბედი) 3 რაკეტა ესროლეს. შემდგომ მას 58-ე არმიის 464-ე სარაკეტო ბრიგადაც შეუერთდა, რომელმაც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე „ტოჩკებით“ 20-მდე ობიექტი დაბომბა. რუსები მხოლოდ „ტოჩკებით“ როდი შემოიფარგლნენ. ოფიციალურად „ისკანდერების“ გამოყენებას კრემლი დღემდე უარყოფს. არადა ვაზიანის ბაზის მიდამოებში, ბაქო-სუფსის ნავთობსადენიდან სულ რაღაც 40 მეტრში ჩამოვარდნილი რაკეტის ფრაგმენტებზე ნიშნული **9M723** თავისუფლად იკითხებოდა. „ისკანდერის“ რაკეტა კი სწორედ ასე აღინიშნება.

ჯავაში განთავსებული კომპლექსები მოდერნიზებული **Искандер-М**-ის ტიპისაა. საბაზო ვარიანტის ბალისტიკურ რაკეტასთან ერთად, მას ფრთოსანი რაკეტის გამოყენებაც შეუძლია. არსებული ინფორმაციით, ფრთოსანი რაკეტა დაბალ სიმაღლეზე რელიეფის გასწვრივ მიფრინავს და მიზანს 500 კმ-ზე ანადგურებს. ერთ მანქანაზე ორი განსხვავებული ტიპის რაკეტის მორგებით,



რუსებმა „ისკანდერის“ საბრძოლო პოტენციალი გააორმაგეს. ამიერიდან ფართობზე გაშლილ მიზნების განადგურებასთან ერთად, მას წერტილოვანი დარტყმების განხორციელებაც შეუძლია. რაკეტის ფრენის მანძილის გათვალისწინებით, ჯავაში განლაგებული „ისკანდერ-მ“-ის მოქმედების არეალში საქართველო, თურქეთის აღმოსავლეთ ნაწილი, სომხეთისა და აზერბაიჯანის მნიშვნელოვანი ნაწილები ხვდება. „ისკანდერ-მ“-ით კრემლი ევროპასაც ემუქრება. 2011 წლიდან მოყოლებული პრესაში პერიოდულად ჩნდება ცნობები ამ კომპლექსების კალინინგრადის ოლქში შესაძლო განთავსების თაობაზე. 2014 წლის დეკემბერსა და 2015 წლის მარტში დასავლეთ სამხედრო ოლქის და ჩრდილოეთის ფლოტის სწავლების ფარგლებში, 10-მდე კომპლექსი კალინინგრადში დროებით გადაისროლეს. მუდმივი დისლოკაციის შემთხვევაში, კომპლექსი ფარავს ბალტიისპირეთს, პოლონეთის თითქმის მთელ ტერიტორიას, შვედეთის და გერმანიის ნაწილებს. საგულისხმოა, რომ ჯავაში „ისკანდერ-მ“-ების განალაგება და კრემლის მიერ ამ ფაქტის აღიარება, საქართველოს მიერ საფრანგეთში შეძენილი ჰაერსაწინააღმდეგო საშუალებების ტიპების და რაოდენობის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებას დაემთხვა. (ambebi.ge)

## ბესო ხარძიანის ადვოკატი არ გამორიცხავს, რომ ბრალდებულის დაკავების ღონისძიება საქართველოში მიმდინარეობდეს



როგორც ხარძიანის ადვოკატი მალხაზ სალაყაია აცხადებს, ის არ გამორიცხავს, რომ დაკავების ღონისძიება საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობდეს. ადვოკატის განცხადებით, ფანტაზიის ნაყოფია გავრცელებული ინფორმაციები, თითქოს მკვლელობაში ბრალდებული ჩეჩნური წარმოშობისაა. რაც შეეხება, მოკლულის ოჯახის პოზიციას, რომ ხარძიანის მკვლელობის შემკვეთი გია უდესიანი და ქურასბედიანი არიან, ადვოკატი აცხადებს, რომ ის იურისტია და ემოციურ განცხადებებს ვერ შეაფასებს. რაც შეეხება შეკითხვას, სავარაუდოდ, როდის შეიტანს ხარძიანის საქმეს პროკურატურა სასამართლოში, ადვოკატმა აღნიშნა, რომ „საქმე წკიპზეა“. (ინტერპრესნიუსი)



# რამაზ საყვარელიძე: მინისტრთა კაბინეტის შეცვლა წინასაარჩევნო პროცესთან არის დაკავშირებული



ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილება გადადგომის შესახებ დიდწილად წინასაარჩევნო პროცესთან არის დაკავშირებული, - ამის შესახებ ექსპერტმა რამაზ საყვარელიძემ „ტელეიმედის“ ეთერში განაცხადა.

– მინისტრთა კაბინეტის შეცვლის თემა დიდწილად დაკავშირებულია წინასაარჩევნო პროცესთან. როდესაც ხელისუფლება არ არის ისეთი წარმატებული, როგორიც უნდა იყოს, მაშინ იცვლება ის ხალხი, ვინც ყველაზე გამაღიზიანებლები არიან. სავარაუდოა, რომ ერთ-ერთი ასეთი პიროვნება იყო პრემიერი. ასეთი ცვლილება რომ მომხდარიყო სხვა საუბრის ფონზე, ალბათ, მას სხვა პროცესებიც მოჰყვებოდა. მოულოდნელობა ხშირად არის რაღაც პოლიტიკური შედეგებისგან დაზღვევის საშუალება, – განაცხადა რამაზ საყვარელიძემ. (kvira.ge)

# გია ხუხაშვილი: ირაკლი ღარიბაშვილს აკიდებული ჰქონდა იმაზე მეტი ტვირთი, ვიდრე შეეძლო



ექსპერტ გია ხუხაშვილის შეფასებით, ღარიბაშვილის თანამდებობიდან გადადგომა ბოლოდროინდელ გახმაურებულ თემებს უკავშირდება. კერძოდ, ხუხაშვილს უცნაურად მიაჩნია საკითხი, რომელიც პატრიარქისთვის შეწყალების უფლების მინიჭებას გულისხმობდა. გარდა ამისა, გია ხუხაშვილი არ გამორიცხავს, რომ ირაკლი ღარიბაშვილის თანამდებობიდან წასვლა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის ლევან მურუსიძის თემას უკავშირდებოდეს.

– ირაკლი ღარიბაშვილმა რამდენიმე დღის წინ ანგარიში წარადგინა და 3-წლიანი მუშაობა შეაჯამა. პოზიტიური ვარაუდი შეიძლება იყოს, რომ მოღვაწეობა შეაჯამა, თავისი ფუნქცია ამოწურულად ჩათვალა და თანამდებობიდან წავიდა, თუმცა მაინცდამაინც დამაჯერებლად არ ჟღერს ეს პოზიცია. მოხდა რაღაცა განსაკუთრებული. ბოლო პერიოდში იყო ისეთი თემები, რაც მას პირდაპირ და ირიბად უკავშირდებოდა. ერთ-ერთი ძალიან უცნაური საკითხი იყო პატრიარქისთვის შეწყალების უფლების მინიჭება. ირაკლი ღარიბაშვილის ნათესავები ცალკე საკითხია და ეს არ არის ახალი თემა. არ მგონია, რომ ნათესავების გამო მომხდარიყო ეს ყველაფერი. ვფიქრობ, რომ მისალოცად აქვს საქმე, იმიტომ, რომ ნებისმიერი ადამიანისადმი მაქვს თანაგრძნობის განცდა, როდესაც მას იმაზე მეტი პასუხისმგებლობა და ტვირთი აეკიდება ხოლმე, ვიდრე მას შეუძლია ატაროს, – ამბობს გია ხუხაშვილი. (kvira.ge)

*მეორე გვერდიდან*

პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას საქართველოს პარლამენტის უმრავლესობა წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს და ის 7 დღის ვადაში ოფიციალურად დაასახელებს. ამის შემდეგ კანდიდატს ეძლევა 7 დღის ვადა იმისთვის, რომ წამოაყენოს მინისტრების კანდიდატურები, მომდევნო 7 დღეში კი პარლამენტი კენჭს უყრის მთავრობის ახალი შემადგენლობისთვის და სამთავრობო პროგრამისთვის ნდობის გამოცხადების საკითხს, რისთვისაც პარლამენტს შემადგენლობის უმრავლესობა სჭირდება. თუ პარლამენტი კანდიდატებსა და პროგრამას ნდობას გამოუცხადებს, პრემიერი პრეზიდენტმა 2 დღის ვადაში უნდა დანიშნოს. ასევე, 2 დღე ექნება მთავრობის ახალ მეთაურს მინისტრების წარდგენისთვის.

ახლა ძალიან საინტერესო მომენტი დგება, უცქირეთ – თუ მმართველი გუნდი კანდიდატურებზე ვერ შეჯერდება, პროცედურების გაჭიანურების გამო ახალი კანდიდატის წარდგენის შანსი საპარლამენტო უმცირესობას მიეცემა. გარდა ამისა, სპეციალისტები არ გამორიცხავენ, რომ შესაძლოა, საქართველოში რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები დაინიშნოს. კერძოდ, თუ პარლამენტი ნდობას არ გამოუცხადებს მთავრობას სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ასეთ შემთხვევაში, 30 დღის ვადაში მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების მცდელობა კიდევ ერთხელ იქნება, თუმცა თუ კვლავ ვერ დადგა შედეგი, უმცირესობას, ანუ ორ მეხუთედს – 60 დეპუტატს ექნება საშუალება, თავად დაასახელოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატურა და თუ ეს პროცედურაც უშედეგოდ დასრულდა, ადგება ეს ჩვენი პრეზიდენტი, დაითხოვს პარლამენტს და რიგგარეშე არჩევნებს დანიშნავს.

არ არის გამორიცხული, პროცედურები დაჩქარდეს, თუმცა არც ისაა გამორიცხული, გაჭიანურდეს და მაიმუნის წელს პრემიერ-მინისტრის გარეშე შევეგებოთ...

ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომის შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტმა მთავრობის მოვალეობის შესრულება მინისტრთა კაბინეტის არსებულ შემადგენლობას დააკისრა. გიორგი მარგველაშვილის მიერ გამოცემული განკარგულების შესახებ ინფორმაცია პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა გიორგი კვერენჩხილაძემ გაავრცელა:

**„კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა განკარგულება, რომლის საფუძველზეც საქართველოს მთავრობის იმავე შემადგენლობას დააკისრა მთავრობის მოვალეობის შესრულება, მთავრობის ახალი შემადგენლობის შექმნამდე. შესაბამისად, ასევე კონსტიტუციის მიხედვით ახლა საქართველოს საპარლამენტო უმრავლესობა პრეზიდენტს წარუდგენს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატს და დღევანდელი დღიდან 7 დღის ვადაში პრეზიდენტი პრემიერობის კანდიდატს წარუდგენს პარლამენტს“.**

**არა, რა, რა უცნაური პრეზიდენტი გვყავს, კაცო, მთავრობის მეთაური გადადგა და ჰო, რა უჭირს მერე, რომ დიდი ხანია, ურთიერთობა აეჭრათ, ქვეყნის მთავარსარდალი რომ ხარ, გამოდი, უთხარი ხალხს ერთი სიტყვა, დაამშვიდე, შეაშინე, დაუყვავე, ესეც შეწყალების კომისიის სკანდალი ხომ არ არის, ეს დედაარღნიანი, არა?!. ყველაფერზე მდივნებსა და მრჩევლებს უნდა აკეთებინოს განმარტება-განცხადებები? არ შეიძლება ასე, აააარააა!!!**

როგორც აღვნიშნეთ, ირაკლი ღარიბაშვილის სავარაუდო გადადგომაზე ინფორმაცია დილიდან გავრცელდა, რასაც, ბუნებრივია, უამრავი გამოხმაურება მოჰყვა.

მაგალითად, ამ ამბავს მთლად პირველი თუ არა, ჰა, ჰა, მეოცე მაინც, როგორც მას სოციალურ ქსელში მოიხსენიებენ, თამაზაშვილების ოჯახთან დაახლოებული ჟურნალისტი ნინო ჯღარკავა გამოეხმაურა:

**„ნუ ფუთფუთებთ, „ნაცებო“, თქვენი გასახარი მაინც არაფერი მოხდება აწი. ერთი ბიძინა წავიდა სახლში და მეორე ირაკლი დაჯდება სახლში... გაკოცეეეთ“...**

არ გაუმართლდა ნინო ჯღარკავას სარკაზმი – წავიდა ღარიბაშვილი, ოღონდ სად? აი, ეგ ჯერ არ ვიცით.

ირაკლი ღარიბაშვილის სავარაუდო გადადგომას ლამის სადღეგრძელო მიუძღვნა ნაძალადევის რაიონის გამგებელმა ზაზა გაბუნიამ, რომელმაც დიდი ალბათობით, იცოდა, რაც უნდა მომხდარიყო:

**„წესიერი, ყურადღებიანი, პრინციპული, განათლებული, ოჯახისა და ქვეყნის მოყვარული. მე ამ შინაარსის სიტყვები მახსენდება ირაკლისთან მიმართებით. წარმატებები მას ყველგან, საიდანაც ქვეყნის სამსახურს მოინდომებს!“**

**და როცა, სავარაუდოდ, ზაზა გაბუნიამ იცოდა, რომ ღარიბაშვილი უნდა გადამდგარიყო, ზვიად ძიძიგურმა ისაო, არა, კაცო, რა ატამი, რი ატამი, არსადაც არ მიდის ჩვენი პრემიერიო. როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, კოალიცია „ქართული ოცნება“ წყვეტს, ვინ იქნება პრემიერი და კოალიციის პოლიტსაბჭოს მსგავსი ინფორმაცია არ აქვს.**

**„ვრცელდება განცხადება, რის საფუძველზე ვრცელდება, როგორ ვრცელდება, რა ვრცელდება — რა თქმა უნდა, არ ვადასტურებ. არავითარი მსგავსი ტიპის ინფორმაცია არ არის კოალიციის საბჭოში. კოალიცია წყვეტს, სხვათა შორის, ამ საკითხებს, პრემიერ-მინისტრი ვინ უნდა იყოს, პარლამენტი ამტკიცებს ამას. ამიტომ ნაკლები ჭორაობა და მეტი საქმე“...**

**აი, ეგ არის, რა, როგორ საქმეებსაც აკეთებს ზვიად ძიძიგური, ისეთივე ინფორმირებულია ზუსტად საკუთარი გუნდის მხრიდან — არ ვადასტურებო, ეგეთი ინფორმაცია კოალიციის საბჭოში არ არსებობსო. იიი, აბა, მოგვეჩვენა განცხადება გადადგომის შესახებ?!**



პოსტის დატოვების შესახებ რომ უნდა გაეკეთებინა განცხადება, ზვიად ძიძიგურზე ადრე იცოდნენ ლექსო და ნუნუკა თამაზაშვილმა, რომლებმაც „ფეისბუკზე“ ერთი და იგივე ფოტო გამოაქვეყნეს – ფოტოზე აღბეჭდილია ირაკლი ღარიბაშვილი, რომელიც ერთ-ერთი შეხვედრის შემდეგ ხალხს ხელის აწევით ემშვიდობება.

აგე, ბატონო ზვიად, „დაჟე“ ცოლმა და ცოლისძმამ იცოდნენ ეს ამბავი, თქვენ კი ქვეყანაში კი არა, გუნდში რა ხდება, მაგასაც ვერ აკონტროლებთ და ნორმალურია ახლა ეგ ამბავი?!

ნინო ჯღარკავასი არ იყოს, „ნაცმოძრაობაც“ აფუთფუთდა ინფორმაციის გაჟღერებისთანავე. გოკა გაბაშვილმა ისაო, ეს გადანაცვლებები ვითარებას ვერ შეცვლის, რეალური ცვლილება მხოლოდ მაშინ მოხდება, როდესაც ხელისუფლება მთლიანად შეიცვლება და ივანიშვილი მმართველობას ჩამოშორდებაო:

**„სულ ორი დღის წინ, ირაკლი ღარიბაშვილი ატარებდა პრეზენტაციას და საუბრობდა იმაზე, რომ მთავრობა წარმატებულია, ხალხი უკეთ ცხოვრობს და ყველაფერი კარგად არის. გადაწყვეტილება, რომელიც დღეს მიიღება ან ამ დღეებში, მეტყველებს იმაზე, რომ რეალურად, მთავრობაშიც, ხელისუფლებაშიც კი ესმით, რამხელა კატასტროფის წინაშე დგას ქვეყანა. მაგრამ კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ ეს გადანაცვლებები ივანიშვილის კარზე ვითარებას ვერ შეცვლის, პირადად ის, მისი პოლიტიკა, მისი არასწორი გადაწყვეტილებები არის მიზეზი იმისა, რაც დღეს ქვეყანაში ხდება. შესაბამისად, გადანაცვლებები მის კარზე ვითარებას ვერ შეცვლის, ვითარება შეიცვლება მხოლოდ მაშინ, როცა ეს ხელისუფლება მთლიანობაში დასრულდება არჩევნების გზით, როცა ივანიშვილი ჩამოშორდება ხელისუფლებას და მოვა ახალი მთავრობა. სწორედ ამის წელი უნდა იყოს 2016 წელი“.**

**2016 წელი კი მაიმუნის წელია და ბევრ მაიმუნობასაც ველით პოლიტიკოსებისგან, მაგრამ იმაში დარწმუნებული ვარ, მთლად ისეც არ გამაიმუნდება სიტუაცია, რომ პირი ქვისკენ მიქნია და „ნაციონალური მოძრაობა“ მობრუნდეს! ჩაკიდეთ ხელი „ნაცებმა“ და „ქოცებმა“ ერთმანეთს და იალაა, მიბრძანდით პოლიტიკურ მოუსავლეთში, დაგვასვენეთ, შეგვეშვით, ოღრაშებო!..**

არც გიგა ბოკერია ჩამორჩა თანაგუნდელს – ბიძინა უნდა წავიდეს და ე, მაშინ ეშველება ქვეყანასო:

**„ივანიშვილს გადაწყვეტილი აქვს ღარიბაშვილის გამოცვლა. ეს დაადასტურა ფრაქცია „ქართული ოცნების“ ლიდერმაც. ლოგიკურია, რომ ამ უმძიმესი კრიზისის ფონზე, როდესაც ლარი გაუფასურდა, გაიზარდა კრიმინალი, როდესაც მთავრობას მომავლის არანაირი ხედვა არ აქვს, რომ პრემიერი და მისი კაბინეტი გადადგეს. თუმცა, ამავე დროს ყველამ ვიცით, რომ ღარიბაშვილი, უბრალოდ, მარიონეტია, ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას იღებს ბიძინა ივანიშვილი და ის არის ერთპიროვნული მმართველი. მან შექმნა ის პოლიტიკა, რომელმაც ამ რთულ ვითარებაში ჩააყენა ქვეყანა. ამიტომ ღარიბაშვილის გადაყენება ჩვენს ქვეყანას ვერაფერ სასიკეთოს ვერ მოუტანს. ერთადერთი პირობა, რომ ქვეყანა უფსკრულისკენ მიმავალი გზიდან გამოვყვანოთ, არის ივანიშვილის ხელისუფლებიდან ჩამოცილება. ამის დემოკრატიული პროცედურაა არჩევნები. ვინ იქნება პრემიერ-მინისტრი, ამ გადაწყვეტილებას არა ოლიგარქი, არამედ ქართველი ხალხი უნდა იღებდეს. ჩვენს ქვეყანას სჭირდება მთავრობა, რომელსაც აქვს კომპეტენცია. ივანიშვილმა, რომელმაც 2012 წელს მიიღო მანდატი, გადააგდო ქართველი ამომრჩეველი, ამიტომ ეს მანდატი დაკარგა“.**

ფრაქციის ლიდერის რა განცხადება იგულისხმა გიგა ბოკერიამ და გია ვოლსკიმ შუადღეზე დაადასტურა, რომ ღარიბაშვილის გადადგომაზე მსჯელობა არის, ოღონდ ჯერ ვერაფერს ვიტყვიო:

**„არის ამ საკითხზე მსჯელობა, მე არ ვფიქრობ, რომ ჩვენ ამ საკითხზე ნაჩქარევი განცხადებები უნდა გავაკეთოთ. ადმინისტრაციაში დასტური არ არის პრემიერის გადადგომასთან დაკავშირებით. ამას გავიგებთ მოგვიანებით“.**

აი, ბატონო ზვიად, გია ვოლსკისაც სცოდნია და თქვენ კიდევ ჭორებიო, ესაო, ისაო. კაცო, არ გახედებენ საქმეებში კოალიციის წევრები? ნწუ, ნწუ, ნწუ!..

**მოდით, ვოლსკის ამ განცხადებასაც მივაქციოთ ყურადღება — ადმინისტრაციაში დასტური ჯერ არ არისო...**

**იმიტომაც გადაიდო ღარიბაშვილის გამოსვლა რამდენჯერმე, იმიტომაც დაიწყო ხვნეშით გამოსვლა, რომ არ უნდოდა, ბატონო, თანამდებობის დატოვება, არ უნდოდა და აიძულეს, აშკარად ძალიან სერიოზულად დაუყენეს საკითხი.**

ჰო, ასეთი მოსაზრებაც არსებობს, რომ ირაკლი ღარიბაშვილი პოლიტიკიდან წასვლას არ აპირებს და გადადგომის შემდეგ აქტიურ პარტიულ საქმიანობას მიჰყოფს ხელს – „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბს უხელმძღვანელებს და კოალიციის სიის პირველი ნომერი გახდება, თუმცა რაღაც ლოგიკაში არ ჯდება ეს ამბავი – ჯერ ერთი, თავად ისაუბრებდა სამომავლო გეგმებზე და „ქართულ ოცნებაზე“ გულდაწყვეტილი რომ არ ყოფილიყო, აუცილებლად იტყოდა, პოსტს კი ვტოვებ, მაგრამ შორს არსად მივდივარ, აგერ ვიქნები ჩემს პოლიტიკურ გუნდთან ერთადო. და მეორე – კაცი პრემიერი იყო და გადადგე იმისთვის, რომ საარჩევნო შტაბს უხელმძღვანელო? ეს ჩამოლაბორანტებაზე ბევრად მეტი გამოდის და რა ვიცი, რა ვიცი...

როგორც უკვე გითხარით, ყველაზე პოპულარული ვერსიით, პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი გახდება, თუმცა სახელდება კიდევ რამდენიმე კანდიდატიც – ეკონომიკის მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი, ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო და ასევე, რკინიგზის შეფი ირაკლი ბახტაძე, რომელიც ბიძინა ივანიშვილის გარემოცვის წევრია.

სწორედ კვირიკაშვილის კანდიდატურაზე საუბრობს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი ზვიად კვაჭანტირაძე.

**„ჩვენ კიდევ ერთხელ დავადასტურეთ, რომ ჩვენი ხელისუფლება არ არის სკამებს ჩაბღაუჭებული და გარკვეულწილად ყველა ჩვენგანი ვართ თავისუფალი ჩვენს არჩევანში. ამის მაგალითი ნამდვილად მისცა ბიძინა ივანიშვილმა ჩვენს მოსახლეობას და საერთაშორისო თანამეგობრობას. დღეს ძალიან ბევრი ზარი მივიღეთ ჩვენი უცხოელი კოლეგებისგან, რომლებიც ნამდვილად არიან გაოცებულები და ნახევრად ხუმრობით ამბობენ, თქვენ, ქართველები, მართლა გვასწავლით დემოკრატიის გაკვეთილებსო“...**

ე, ბიჭო, თუ ასე გაიხარებდნენ „ჩვენი უცხოელი კოლეგები“, აქამდე გადამდგარიყო ღარიბაშვილი და იქნებ ნატო-ს კარიც გაეხსნას, თუ მართლა ჩვენ ვუტარებთ დემოკრატიის გაკვეთილებს, ჰა?

ნატო კაი დროს გამახსენდა, თინა ხიდაშელმა რაღაც ბუნდოვანი განცხადება გააკეთა – ბიძინა ივანიშვილთან ჯიგრული ურთიერთობა შევინარჩუნეო:

**„ვთვლი, რომ ვარ ერთ-ერთი იმ ადამიანთაგანი, რომელმაც შევინარჩუნე ურთიერთობა ბიძინა ივანიშვილთან. მე არც არასოდეს დამიმალავს და კიდევ ერთხელ ვადასტურებ ამას. როდესაც განსაკუთრებით მძიმე გადაწყვეტილებები მქონია, დამირეკავს და მითხოვია შეხვედრა. 90 პროცენტში ის უარს მეუბნება და გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მხვდება ხოლმე. სრულიად აბსურდულად მიმაჩნია ის ბრალდებები, რომელიც ბიძინა ივანიშვილის მიმართ არის, მაგრამ მესმის, როცა არაფერი აღარ გრჩება სათქმელი, უნდა მოიგონო ამბავი, რომელიც ბუნებაში არ არსებობს. მისი აზრი არის ძალიან მნიშვნელოვანი ქართველი საზოგადოებისთვის, მაგრამ ის არ სარგებლობს ბოროტად ამ ავტორიტეტით“...**

**ისე, თავად ბიძინა ივანიშვილს ჯერჯერობით ერთი სიტყვაც არ დაუძრავს ღარიბაშვილის გადადგომაზე, არადა თინა ხიდაშელს თუ დავუჯერებთ, მისი აზრი ძალიან მნიშვნელოვანია ქართველი საზოგადოებისთვის. ჰოდა, თუ ასეა, სად არის, რატომ დუმს ასეთი სერიოზული ცვლილების ფონზე?!**

ბარემ დავით უსუფაშვილის შეფასებაზეც მოგახსენებთ და მოვრჩეთ ამით, დანარჩენს მომდევნო დღეები გვაჩვენებს – რა და როგორ იქნება:

**„მე მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ ირაკლი ღარიბაშვილთან ერთად კოალიცია „ქართული ოცნების“ გუნდი უკვე 4 წელია, ერთად ვიბრძვით, ვშრომობთ და ძალიან ბევრ რამეს მივაღწიეთ. მე მინდა, პირველ რიგში, მადლობა გადავუხადო გაწეული მუშაობისთვის, საქმისთვის და პატივი ვცე მის თავისუფალ გადაწყვეტილებას, პასუხისმგებლიან გადაწყვეტილებას, როგორც მან თავად განაცხადა“...**

**ისე, 23 დეკემბერს სანდრა რულოვსის დაბადების დღეც იყო და ნუთუ, ესეც მხოლოდ დამთხვევაა?!.**

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. კედელში ჩადგმული კარადა
2. მსახიობი ანტონიო ...
3. ავსტრალიის ბინადარი ცხოველი
4. ჟურნალისტი ... ჟორჟოლიანი
5. ფრანგული ოქროს მონეტა
6. თამასუქი, ანუ ...
7. მსახიობი კირა ...
8. რეჟისორი რომეო ...
9. გრძელი ხალიჩა
10. ტელეკოშკი
11. ექიმი, ატარებს ოპერაციებს
12. ქართული დამწერლობა
13. მწერალი ... ევდოშვილი
14. ღირებულება
15. კურორტი ბულგარეთში
16. მსახიობი ... კახიანი
17. მსახიობი ... ოლივიე
18. მწვანილი
19. უმაღლესი ხარისხის მინა
20. მომღერალი ... ხალვაში
21. ბეთჰოვენ. „... სონატა“
22. კომპოზიტორი ... პაულსი
23. მსახიობი სოფიკო ...
24. მხარე საქართველოში
25. ქორბუდა ცხოველი
26. ცხიმის გამოსახდელი ხელსაწყო
27. მდინარე თბილისში
28. დიდი ტალღა
29. მსახიობი ... ფაინსი
30. მისი დედაქალაქია მანილა
31. ხელის საგრილებელი
32. საქმრო მასალა ...-მაშე
33. რეჟისორი ... დე ბონტი
34. მწერალი რომენ ...
35. ნიდერლანდის დედაქალაქი
36. მხ/ფ „ბატონ სეპტიმის ...“
37. ქალაქი იტალიაში
38. ამერიკელი მომღერალი ქალი
39. საჭირო ნივთების კოლოფი
40. მზის ამოსვლა
41. მსახიობი ... ნილსენი
42. ტარკოვსკის ფილმი
43. საკლასო ოთახის ინვენტარი
44. გრძელი სიტყვა ... ითქმის
45. მსახიობი ... სუეიზი
46. კომპიუტერის ანტივირუსი
47. მსახიობი ... კილმერი
48. მსახიობი ... დიკაპრიო
49. მიშენება ოთახზე
50. მხატვარი რაფაელ ...
51. ლითონი
52. სელაპის სახეობა
53. სოფელი ხაშურის რაიონში
54. მოდელი ... ყიფშიძე
55. მომღერალი ... მინოუგი
56. ოდისევსის სამშობლო
57. ის, ვინც სისხლს გასცემს
58. ქართ. ხალხური ზღაპარი
59. ანტიკური საბერძნეთი
60. სოფ. ლანჩხუთის რაიონში
61. სრუტე ხმელთაშ. ზღვაზე
62. ფირმა „...-პარი“
63. კარგად მიარული ცხენი
64. სამშობლოს მოყვარული
65. მისი დედაქალაქია ჰელსინკი
66. მომღერალი ლოლიტა ...
67. გულსაბნევი
68. ათოსი, პორთოსი, ...
69. მტაცებელი ფრინველის ფეხი
70. ბალეტი „გედების ...“
71. ილია ჭავჭავაძის პოემა
72. მიცვ. აკლდამა
73. გველის ხმიანობა
74. მეჩეთის კოშკი
75. ამერიკული სამგზავრო თვითმფრინავი
76. სპილენძის დოქი
77. ალ. ტოლსტოის მოთხრობა
78. წიწვოვანის ყვავილედი
79. ჩარხი
80. მსახიობი ქეით ...
81. მხატვარი ალბრეხტ ...
82. ბოსტნეული
83. მიქელანჯელოს ქანდაკება
84. ნიდერლანდის ფულის ერთეული
85. თანავარსკვლავედი
86. კომპოზიტორი ... კვერნაძე
87. ტიბეტური ხარი
88. თმის საშრობი ხელსაწყო
89. ძვირფასი ქვა
90. ბაში-აჩუკის ქუდი
91. რუსი მხატვარი
92. მსახიობი ბრედ ...
93. მომღერალი იან ...
94. მით. ქალი ჯადოსნ. ხმით
95. ლავი
96. მწუხარე სახის ...
97. ფრინველის სამყოფი
98. ქრისტიანული სალოცავი
99. დაღესტნური სოფელი
100. მთათა სისტემა ...-შანი
101. მსახიობი ... გარდნერი
102. ორატორი
103. ტალახი
104. მსახ. ... პაპიაშვილი
105. ბურთის ფორმის სხეული
106. ნაკლი, ზადი
107. „დიპლომიანი სასიძო“ პერსონაჟი
108. მზის ღმერთი ეგვიპტეში
109. ლუდის მასალა
110. გამაგრილებელი სასმელი
111. კინომოთხრობა
112. მხ/ფ „თეთრი ქარავანი“ პერსონაჟი
113. ფიზიკოსი ალბერტ ...
114. თანხმობის ფორმა
115. ... შვარცენეგერი
116. სან.-ჰიგიენ. დაწესებულება
117. მსახ. აიშვარია ...
118. სპორტის სახეობა
119. ნიშნავს საშუალოს
120. თაღი
121. მდინარე ესპანეთში
122. პატარა თავსახურიანი კოლოფი
123. ხის ჯიში
124. საქონლის ჯოგი
125. ანწლი
126. სოფელი თბილისის ფარგლებში
127. ... ულენშპიგელი
128. მოგზაური ფრიტიოფ ...
129. ჩეხოვი. „... ვანია“
130. საოჯახო ელექტრ. ხელსაწყო
131. სურდო
132. ... შეიქმს სიყვარულსა
133. მტაცებელი ცხოველი აფრიკაში
134. მსახიობი ... ვარდალოსი
135. ქედი აღმ. საქართ.
136. ალამი
137. რადიოლოკატორი
138. პირის ღრუს თაღი
139. „ნატვრის ხე“ ... თაყაიშვილი
140. მსახიობი ბრიუს ...

პასუხები: 1. განჯინა; 2. ბანდერასი; 3. იხვნისკარტა; 4. ნანუკა; 5. ლუიდორი; 6. ვექსილი; 7. ნაიტლი; 8. სტურუა; 9. ფიანდაზი; 10. ანძა; 11. ქირურგი; 12. ასომთავრული; 13. იროდიონ; 14. ფასი; 15. ვარნა; 16. იმედა; 17. ლოურენს; 18. კამა; 19. ბროლი; 20. სოფო; 21. მთვარის; 22. რაიმონდ; 23. ჭიაურელი; 24. რაჭა; 25. ირემი; 26. სეპარატორი; 27. მტკვარი; 28. ზვირთი; 29. რალფ; 30. ფილიპინები; 31. მარაო; 32. პაპიე; 33. იან; 34. როლან; 35. ამსტერდამი; 36. რესტორანი; 37. გენუა; 38. ენია; 39. ნესესერი; 40. აისი; 41. ლესლი; 42. „სტალკერი“; 43. დაფა; 44. მოკლედ; 45. პატრიკ; 46. „კასპერსკი“; 47. ველ; 48. ლეონარდო; 49. ერკერი; 50. სანტი; 51. ნიკელი; 52. ნერპა; 53. ტაშისკარი; 54. კრისტი; 55. კაილი; 56. ითაკა; 57. დონორი; 58. „ირმისა“; 59. ელადა; 60. გრიგოლეთი; 61. გიბრალტარი; 62. ისი; 63. იორღა; 64. პატრიოტი; 65. ფინეთი; 66. ტორესი; 67. ბროში; 68. არამისი; 69. ირაო; 70. ტბა; 71. „აჩრდილი“; 72. სარკოფაგი; 73. სისინი; 74. მინარეთი; 75. „ბოინგი“; 76. თუნგი; 77. „აელიტა“; 78. გირჩა; 79. ჯარა; 80. უინსლეტი; 81. დიურერი; 82. ბროკოლი; 83. „პიეტა“; 84. გულდენი; 85. ორიონი; 86. ბიძინა; 87. იაკი; 88. ფენი; 89. საფირონი; 90. ფაფანაკი; 91. რერიხი; 92. პიტი; 93. გილანი; 94. სირინოზი; 95. ლოქო; 96. რაინდი; 97. გალია; 98. ეკლესია; 99. აული; 100. ტიან; 101. ავა; 102. რიტორი; 103. ლაფი; 104. გოგა; 105. სფერო; 106. ხინჯი; 107. ვარდენი; 108. რა; 109. ალაო; 110. ლიმონათი; 111. სცენარი; 112. მარტია; 113. აინშტაინი; 114. კი; 115. არნოლდ; 116. აბანო; 117. რაი; 118. კრივი; 119. მეცო; 120. არკა; 121. ებრო; 122. ზარდახშა; 123. ტირიფი; 124. ნახირი; 125. ავი; 126. შინდისი; 127. ტილ; 128. ნანსენი; 129. ძია; 130. უთო; 131. რინიტი; 132. შიში; 133. აფთარი; 134. ნია; 135. თრიალეთი; 136. დროშა; 137. რადარი; 138. სასა; 139. მარადია; 140. ლი. იკითხება: ჯოდი ფოსტერი.



1. სისხლის-მწოველი მწერი
2. იგივე, მსგავსი, ანუ ...
3. ყაჩაღი არსენა ...
4. კოლბა, ლაკმუსი (მეცნიერება)
5. მომღერალი ... გვერდწითელი
6. მომღერალი ... ტიმბერლეიკი
7. ყვავილის ტკბილი წვენი
8. ექსტრასენსი ... დავითაშვილი
9. თხის ტყავის ჭურჭელი
10. ოსი მწერალი ... ჯუსოითი
11. გიორგი მხარაძვილის ვაჟი
12. იგივეა, რაც ლეოპარდი
13. დეკორატიული კაქტუსი
14. „ნესტლეს“ ფირმის ხსნადი ყავა
15. მცენარე. ამზადებენ მწნილს
16. რეჟისორი რობერტო ...
17. ეროვნული გმირი მერაბ ...
18. აბზინდის არაყი
19. 100 კაპიკი
20. ნიკანდრო ... (ფილმიდან)
21. კოშკი სასიგნალო განათებით
22. მსახიობი მელანი ...
23. მწერალი ... ჰიუგო
24. ხატებთან დანთებული ლამპარი
25. ელვის ... პრესლი
26. მომღერალი ... რიდი
27. მსახიობი რობერტ დე ...
28. გამოთქმა: ... ნიავს არ აკარებს
29. მომღერალი ... ლემჩენკო
30. ამ სურათის დანახვაზე შემოტოკდა ყველა კუთხი, რევოლუციების თამაშს გეთამაშა ...
31. სისხლძარღვის პათოლოგია
32. ქალი, რომელმაც ლენინს ესროლა
33. თითის დამცავი კერვისას
34. ჩოგბურთის სათამაშო ინვენტარი
35. მწერალი ლეო ...
36. კავშირებითი სიტყვა
37. სურდო
38. სახლის გადასახურავი ბალახი
39. მსახიობი ემა ...
40. კუნძული ავსტრალიასთან
41. წვრილი ძეხვეული
42. პიანოზე დაბალი ჟღერადობა
43. ქანდაკება პირამიდებთან
44. ოპერა „ევგენი ...“
45. კანონიერი სახის მიცემა
46. ქალაქი შიდა ქართლში
47. დელონი ფილმში „მაჩო ...“
48. მორზეს ანბანის ნიშანი
49. მწერალი ლავრენტი ...
50. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი
51. მსახიობი ... ლონგორია
52. ქედი აღმ. საქართ.
53. ფოლგა
54. ...-ანჯელესი
55. ექსფრთიანი ანგელოზი
56. მტაცებელი თევზი
57. ავთანდილის სატრფო (პოემიდან)
58. კუტიურიე კრისტიან ...
59. იტალიური მაკარონი
60. „მე ... ქართველი ვარ“
61. ადვილი, ანუ ...
62. მდინარე უკრაინაში
63. ისრაელის დედაქალაქი
64. ღვიძლის ძეხვი
65. სპექტაკლი „ძველი ...“
66. აჟურული ქსოვილი საყელოზე
67. ... მჭლე და შენ მსუქანი
68. ბავშვის საჭმელი
69. მისი დედაქალაქია ამსტერდამი
70. კომპოზიტორი შოთა ...
71. სამგზავრო ავტობუსის მარკა
72. შეთანხმება ომის შეწყვეტაზე
73. პირველი ოთხნიშნა რიცხვი
74. ხარაზის იარაღი
75. მხ/ფ „ცისკრის ...“
76. ხელზე მოვაჭრე ძველ თბილისში
77. ვენესუელელი პატრიოტი სიმონ ...
78. ვალუტა, ანუ ...
79. ერთ-ერთი ქართ. ტელევიზია
80. მდიდარი გლეხი რევოლუც. დროს
81. რისგან ამოჰყავთ ბეწვე
82. ფეხბურთელი ... ზიდანი
83. ტბა ფოთთან
84. კანი ფრჩხი-ლის ირგვლივ
85. დაბა ქართლში. აწარმოებ. შაქარს
86. დიდი ჯოხი
87. ჟანკლოდ ... დამი
88. რისი ზეთია მენთოლი
89. ეგვიპტის დედაქალაქი
90. შტატი აშშ-ში
91. საფრანგეთის ისტორიიდან: დედოფალ მარგოს მეუღლე ჰენრი ...
92. დედამიწის გუმბათი
93. ჭერის პარალელური სიბრტყე
94. კონკისტადორი ერნანდო ...
95. შალვა დადიანი. „უბედური ...“
96. ანტილოპას სახეობა
97. სახელმწ. სამხ. ამერიკაში
98. ქალაქი იმერეთში
99. შვიდი დღე
100. გემრიელი, იშვიათი კერძი
101. ერთგვარი შალის ქსოვილი
102. ძვ. ეგვიპტის მეფის ტიტული
103. მიკი მაუსის შეყვარებული
104. მიწისზედა ხიდური ნაგებობა, რომლის ქვეშ შეიძლება მოძრაობა
105. ორგანიზებული მომსახურება (საშედიც.)
106. დაბეგვილი და შეშწვარი საქონლის ხორცი
107. თეთრეულის ტილო
108. მსახიობი ჯემი ... კერტისი
109. თათარაში ამოვლებული ნიგოზი
110. გადასახდელზედიანი ეტლი
111. გამის მეშვიდე ნოტი
112. სხეულის დაზიანება
113. ხის პალო
114. ... ძედუნი
115. მსახიობი ანასტასია ...
116. ბამბის თხელი ქსოვილი
117. ბუჩქი. შემოდგომაზე ფოთლები ეწითლდ.
118. „20000 ... წყალქვეშ“
119. მივიოლინე ლიანა ...
120. მისი დედაქალაქია ბაღდადი
121. მოკრივე მუჰამედ ...
122. „მატრიცა“ ნათელმხილველი
123. სიმინდის ყვავილედი
124. საბრძოლო ჯავშანმანქანა
125. ყურე სკანდინავიის სანაპიროზე
126. მხ/ფ „ეშმაკი და ... მცნება“
127. გულის დაავადება
128. მზვერავი ქალი ... ჰარი
129. ჩონჩხის ნაწილი
130. ღირებულება
131. მტაცებელი კატისებრ. ოჯახიდან
132. ერთ-გვარი ბორანი
133. მზაკვრულად მომხვედური
134. კედლის შანდალი
135. ცხიმოვანი სიმსივნე
136. წელზე მოსაჭერი აქსესუარი
137. მსახიობი ... დემონჟო
138. ...-კლარჯეთი
139. უჯრედმორისი სითხე
140. ნაბიჯი ბალეტში
141. მსახიობი ორნელა ...
142. საბჭოთა თვითმფრ. მარკა
143. მდინარე იტალიაში
144. უსაგნოდ ლაპარაკი
145. მხ/ფ „მისტერ ... საავადმყოფოში“
146. იალქანი
147. მსახიობი ... სტრიპი
148. ოქროს ძაფი
149. შტატი აშშ-ში
150. ... სენ ლორანი
151. მომღერალი ... ქერი
152. ვაჟიშვილი

პასუხები: 1. კოღო; 2. იდენტური; 3. ოძელაშვილი; 4. ქიმია; 5. თამარ; 6. ჯასტინ; 7. ნექტარი; 8. ჯუნა; 9. ტიკი; 10. ნაფი; 11. გოდერძი; 12. ჯიქი; 13. ოპუნცია; 14. „ნესკაფე“; 15. ჯონჯოლი; 16. როსელინი; 17. კოსტავა; 18. აბსენთი; 19. მანეთი; 20. ქილია; 21. შუქურა; 22. გრიფიტი; 23. ვიქტორ; 24. კანდელი; 25. აარონ; 26. დინ; 27. ნირო; 28. ცივ; 29. ლევ; 30. კალათბურთი; 31. ანევრიზმა; 32. კაპლანი; 33. სათითე; 34. ჩოგანი; 35. ქიაჩელი; 36. და; 37. რინიტი; 38. ისლი; 39. ტომპსონი; 40. ტასმანია; 41. სოსისი; 42. პიანისიმო; 43. სფინქსი; 44. ონეგინი; 45. ლეგალიზაცია; 46. კასპი; 47. ტიტა; 48. ტირე; 49. არდაზიანი; 50. რუსთაველი; 51. ევა; 52. თრიალეთი; 53. კილიტა; 54. ლოს; 55. სერაფიმი; 56. ზვიგენი; 57. თინათინი; 58. დიორი; 59. სპაგეტი; 60. პატარა; 61. იოლი; 62. დნეპრი; 63. იერუსალიმი; 64. ლივერი; 65. ვოდევილები; 66. მაქმანი; 67. დათვი; 68. ფაფა; 69. ნიდერლანდი; 70. მილორავა; 71. „იკარუსი“; 72. ზავი; 73. ათასი; 74. სადგისი; 75. ზარები; 76. კინტო; 77. ბოლივარი; 78. ფული; 79. „იმედი“; 80. კულაკი; 81. ცილა; 82. ზინედინ; 83. პალიასტომი; 84. ნუნა; 85. აგარა; 86. კეტი; 87. ვან; 88. პიტნა; 89. კაირო; 90. ილინოისი; 91. ნავარელი; 92. ცა; 93. იატაკი; 94. კორტესი; 95. რუსი; 96. კანა; 97. ბრაზილია; 98. ზესტაფონი; 99. კვირა; 100. დელიკატესი; 101. ტვიდი; 102. ფარაონი; 103. მინი; 104. ესტაკადა; 105. პატრონაჟი; 106. ბივშტექსი; 107. მიტკალი; 108. ლი; 109. ჩურჩხელა; 110. ფაეტონი; 111. სი; 112. ტრავმა; 113. სოლი; 114. მაო; 115. ვერტინსკაია; 116. ჩითი; 117. თრიმლი; 118. ლიე; 119. ისაკაძე; 120. ერაყი; 121. ალი; 122. პითია; 123. ტარო; 124. ტანკი; 125. ფიორდი; 126. ათი; 127. მანკი; 128. მატა; 129. ხერხემალი; 130. ფასი; 131. ლომი; 132. რორო; 133. მტერი; 134. ბრა; 135. თია; 136. ქამარი; 137. მილენ; 138. ტაო; 139. ლიმფა; 140. პა; 141. მუტი; 142. „ილ“; 143. პო; 144. ლაყბობა; 145. პიტკინი; 146. აფრა; 147. მერილ; 148. სირმა; 149. აიოვა; 150. ივ; 151. მერაია; 152. ძე.

1. მხ/ფ „... შვიდეული“
2. თხევადი ცხიმი, მაგ., თევზის
3. მდინარე აფხაზეთში
4. ბილიარდის ჯოხი
5. კალიფორნიის შტატის გუბერნატორი



6. ჩანჩქერი აშშ-ში
7. მთა. დასაჯეს ქრისტე
8. მჭადის ფქვილით შეზელილი ბადაგი
9. ქვირითიდან გამოსული ბაყაყი
10. ქვეყნის ძველიდი მოსახლე
11. შაქარში ათქვეფილი კვერცხი
12. მსახიობი ... უიზერსპუნი
13. მტაცებელი თევზი ოკეანეში
14. ტელევიზორის კინესკოპი
15. პოეტი იოსებ ...
16. ჯუჯა კამეჩი
17. სოფელი ოჩამჩირის რაიონში
18. ჩოგბურთელი ანდრე ...
19. ხუთკაციანი ანსამბლი
20. ქალაქი საფრანგეთში
21. მათემატიკის ნაწილი
22. მსახიობი ელიზაბეტ ...
23. მისი დედაქალაქია ჰანოი
24. რაში დებენ პლომბს
25. წყლის ძუძუმწოვარი
26. ჩინეთის დედაქალაქი
27. პატარა გლისერი
28. პიესა „რევიზორის“ ავტორი
29. ბეთჰოვენი. „მთვარის ...“
30. მუხის ნაყოფი
31. ჭადრაკის ფიგურა
32. მდინარე საფრანგეთში
33. მომღერალი ... კრავიცი
34. ხეობა შიდა ქართლში
35. მომღერალი ეკა ...
36. გამადიდებელი ხელსაწყო
37. იტალიის დედაქალაქი
38. დარტყმით ამოღრუტული ადგილი
39. მოხარშული ღორის ფეხები ძმარში
40. ერთგვარი შავი ლუდი
41. მსახიობი ... რივზი
42. ღილები, მაფები, ლენტები და სხვა
43. კურსკის მაგნიტური ...
44. გიორგი სააკაძის სოფელი
45. კომპოზიტორი მიქაელ ...
46. მსახიობი ... იოვოვიჩი
47. მსახიობი ... არტმანე
48. მეცნიერება ვარსკვლავებზე
49. სამკურნალო მცენარე
50. მობი დიკი: თეთრი ...
51. დიკენსი „ნიკოლას ...“
52. უკუღმა, ანუ ...
53. დაბა ...-გრუზინსკაია
54. მეკარე ლევ ...
55. „ხევის ბერი გოჩა“ მწერალი
56. მუზეუმი სანკტ-პეტერბურგში
57. ჩვილის სიტყვა
58. ორლეანელი ქალწული ... დ'არკი
59. ნორვეგიის დედაქალაქი
60. ბულგარული არაყი
61. გაზქურის საცხობი
62. გამომძიებელი, ანუ ...
63. პირველი კოსმონავტი
64. ერთგვარი ქუდი



65. მსახიობი ... რიჩარდსონი
66. ... პლისეცკაია
67. ნიანგის სახეობა
68. იჯარა
69. ერთ-ერთი ჯიშის ბოცვერი
70. ოდისევსის ვაჟი (პოემიდან)
71. ხრიკი, ფანდი
72. მატადორი, იგივე ...
73. რუსეთის დედაქალაქი
74. ოსური ცეკვა
75. ყურძენი იზაბელა, ანუ ...
76. წერტილოვანი პიგმენტი კანზე
77. პოლიციელის მეტსახელი ინგლისში
78. ნიშნავს ცივს
79. შტატი აშშ-ში
80. კომიკოსები: პატი და ...
81. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი
82. მღვდელმთავარი (ძვ.)
83. ზღვა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებს შორის
84. სავსე მთვარის ეპითეტი
85. დურბინდი
86. ქალაქი ნიდერლანდში
87. ორიდან ერთის არჩევანი
88. მარცვლოვანი მცენარე
89. აზერბაიჯანის ყოფილი პრეზიდენტი ... ალიევი
90. ძვირფასი ქვა
91. ზამთრის სპორტის სახეობა
92. გულმკერდის ძვალი
93. მოდუღებული ტყემლის წვენი
94. კუ, ჰქონდა ოქროს გასაღები
95. იაპონიის დედაქალაქი
96. „გაზაფხული შემოსულა ...“
97. გამოუწვავი აგური
98. დადებითი ელექტროდი
99. განგაშის სიგნალი
100. ადამიანი ხარის თავით (მით.)
101. ძირიდან წყლის ამოსაღები ძელი
102. ქოქოსის გული
103. ხარებთან ბრძოლა
104. პარლამენტის თავმჯდომარე
105. ესკიმოსების ნავი
106. მეტყველების ორგანო
107. სპორტის სახეობა
108. მწერალი ჟიულ ...
109. ებრაული ენა
110. ერთთვალა გოლიათი ბერძ.მით.
111. მხ/ფ „... ჭაბუკი“
112. იუპიტერის თანამგზავრი
113. წამლების მაღაზია
114. ცური
115. მსახიობი ანდრეი ...
116. ერთნახადი არაყი
117. უდაბნო სამხ. აფრიკაში
118. რბილი სასის გაგრძელება
119. მომღერალი ... ბელაფონტე
120. სხივი. ჭრის ლითონს
121. ტბა კანადაში
122. მოყავისფრო ჭრელი



123. ბიზეს ოპერა
124. ექსპრეზიდენტი ბილ ...
125. ტილის კვერცხი
126. ჭრილობა
127. ქალაქი გამოქვაბული (საქართ.)
128. მხსვერპლად შესაწირავი
129. მსახიობი ... კერტისი
130. შოტლანდიური ნაგაზი
131. ჯადოქრობა
132. ოსტატების გაერთიანება
133. ბულგარელი ნათელმხილველი
134. შოლოხოვი. „წყნარი ...“
135. ხალხის მწკრივი დახლთან
136. მსახიობი ... ფარულავა
137. ქური
138. მომღერალი ... კალასი
139. ტარიელი, ავთანდილი და ...
140. ალკოჰოლური სითხე
141. მსახიობი სტივენ ...
142. მოკრივე მუჰამედ ...

პასუხები: 1. შესანიშნავი; 2. ზიპი; 3. ენგური; 4. კიი; 5. შვარცენეგერი; 6. ნიაგარა; 7. გოლგოთა; 8. ფელამუში; 9. თავკომბალა; 10. აბორიგენი; 11. გოგლიმოგლი; 12. რიზ; 13. მურენა; 14. ეკრანი; 15. ნონეშვილი; 16. ანოა; 17. ტამიში; 18. აგასი; 19. კვინტეტი; 20. ლიონი; 21. არითმეტიკა; 22. ტეილორი; 23. ვიეტნამი; 24. კარიესი; 25. ლომვეშაპი; 26. პეკინი; 27. სკუტერი; 28. გოგოლი; 29. სონატა; 30. რკო; 31. პაიკი; 32. ლუარა; 33. ლენი; 34. რკონი; 35. კვალიაშვილი; 36. მიკროსკოპი; 37. რომი; 38. კოპი; 39. მუჟუჟი; 40. „პორტერი“; 41. კიანუ; 42. გალანტერეა; 43. ანომალია; 44. ნოსტე; 45. ტარივერდიევი; 46. მილა; 47. ვია; 48. ასტრონომია; 49. ალოე; 50. ვეშაპი; 51. ნიკლბი; 52. უკუ; 53. ნია; 54. იაშინი; 55. ყაზბეგი; 56. ერმიტაჟი; 57. ალუ; 58. ჟანა; 59. ოსლო; 60. რაკია; 61. ლუმელი; 62. დეტექტივი; 63. გაგარინი; 64. კეპი; 65. მირანდა; 66. მაია; 67. გავიალი; 68. არენდა; 69. შინშილა; 70. ტელემაქე; 71. ოინი; 72. ტორერო; 73. მოსკოვი; 74. „სიმდი“; 75. ადესა; 76. ხალი; 77. ბობი; 78. კრიო; 79. არიზონა; 80. პატაშონი; 81. მექა; 82. არქიელი; 83. მარმარილო; 84. ბადრი; 85. ბინოკლი; 86. როტერდამი; 87. ალტერნატივა; 88. წიწიბურა; 89. ჰეიდარ; 90. იასპი; 91. ბიათლონი; 92. ლავიწი; 93. კვაწარახი; 94. ტორტილა; 95. ტოკიო; 96. ლენ; 97. ალიზი; 98. ანოდი; 99. სირენა; 100. მინოტავრი; 101. ოწინარი; 102. კოპრა; 103. კორიდა; 104. სპიკერი; 105. უმიაკი; 106. ენა; 107. კრივი; 108. ვერნი; 109. ივრითი; 110. ციკლოპი; 111. საბუდარელი; 112. იო; 113. აფთიაქი; 114. ჯიქანი; 115. მირონოვი; 116. რახი; 117. კალაჰარი; 118. ნაქი; 119. ჰარი; 120. ლაზერი; 121. ონტარიო; 122. ჭროღა; 123. „კარმენი“; 124. კლინტონი; 125. წილი; 126. იარა; 127. ვარძია; 128. ზვარაკი; 129. ტონი; 130. კოლი; 131. მაგია; 132. ამქარი; 133. ვანგა; 134. დონი; 135. რიგი; 136. ია; 137. ქვევრი; 138. მარია; 139. ფრიდონი; 140. სპირტი; 141. სიგალი; 142. ალი. იკითხება: ტაილერი. ბლანშეტი. ფარელი.

1. კათოლიკური ეკლესიის მეთაური
2. იაპონური არაყი
3. საძირკველი, ანუ ...
4. კომპოზიტორი ... გაბუნია
5. სახედარი
6. ამ ორგანოს პარკუჭები აქვს
7. ლორის ბალანი
8. დარბეული, ანუ ...
9. მსახიობი ... კასტრო
10. სითხის საცავი ნაგებობა
11. წლის თერმული გაბათობილის ფირმა
12. წელიწადის დრო
13. ჭაღი
14. ჩუქჩების ტყავის ქოხი
15. სტადიონი ერევანში
16. მკურნალობის ღმერთი რომ. მით.
17. პერგამენტი, ანუ ...
18. ილია ჭავჭავაძის ლექსი
19. საჭმლის მომნელებელი ორგანო
20. კოსტიუმირებული წვეულება
21. ათასწლეულის დასასრული
22. ბროში ქვაზე პროფილით
23. „... ვნახოთ ვენახი“
24. მწერალი თეოდორ ...
25. თაღი
26. ქალაქი ჩეხეთში
27. საქონლის საკვები
28. ადამისა და ევას შვილი
29. ბანდის მეთაური
30. ძაღლის ჯიში
31. მხედველობის ორგანო
32. თმის წითელი საღებავი
33. მწერალი ჯანი ...
34. ბარის მომსახურე პერსონა
35. მსახიობი ... ეკბერგი
36. თურქული წითელი წუდი
37. სახალხო მგოსანი ... გურჯი
38. წყლის ძუძუმწოვარი
39. ქირურგიული იარაღი
40. ხმის გამაძლიერებელი
41. რეჟისორი ... ლი
42. „მატრიცა“ ჰაკერი
43. პირი, ცხოვრობს აქციების შემოსავლით
44. ღია საზაფხულო ფეხსაცმელი
45. მოკლე კაბა
46. რუსი მეიგავე
47. მხ/ფ „... და ათი მცნება“
48. ფილმი ამ მსახიობების მონაწილეობით
49. მიმართვა ესპანელი მამაკაცისადმი
50. სელაპის სახეობა
51. ... ხაჩატურიანი
52. დრამატურგი ჰენრიკ ...
53. გერმანიის დედაქალაქი
54. ავტომობილი „...-როისი“
55. „საპნის ოპერა“, ანუ ...
56. მსახიობი ... ბრანდო
57. ქალაქი ესპანეთ-ში
58. მუსიკ. ბგერის გამოსახულება
59. ჟაკ-... კუსტო
60. მდინარეზე გასასვლელი
61. არქიმედეს შეძახილი
62. გირი და უილისი ფილმში
63. ხუმარების თვე
64. პოეტი ნიკოლოზ, ტატო ...
65. პატარა წითელი ხოჭო
66. დეტექტივი მწერალი არკადი ...
67. იდუმალი ქრისტიანული არტეფაქტი: წმინდა თასი, ანუ ...
68. მისალმება მუხლის მოხრით
69. ქორეოგრაფი მარის ...
70. სასმელები: ჯინი და ...
71. მსახიობი ... კინსკი
72. სარა ... ფილმში „შანტეკლერის დედოფალი“
73. მღვდლის სამოსის დეტალი
74. სანტა-კლაუსის სამშობლ. მხარე
75. ბადმინტონის ფრთიანი ბურთი
76. ხე. ისხამს ნიგოზს
77. ძვ. აკადემია ქუთაისთან
78. ოპერის წამყვანი მომღერალი ქალი
79. მოზაიკის კერამიკის მასალა
80. მსახიობი ... ბერგმანი
81. წყლის შინაური ფრინველი
82. ტბა უნგრეთში
83. ისლანდიელი მომღერალი ქალი
84. ძლიერნი ... სოფლისანი
85. „... ფრანკის დღიური“
86. ზამთრის თვე
87. შებოლილი ზუთხი
88. „კუკარაჩა“ ... ლალიაშვილი
89. პორტუგალიის დედაქალაქი
90. სითხე ლამპაში
91. ტაბლეტი
92. მეტამორფოზის ბოლო სტადია
93. მეფე ... აღმაშენებელი
94. ავღანეთის დედაქალაქი
95. ბარგი, ანუ ...
96. მომღერალი ... ორბაკაიტე
97. ქალამდების ჩასადები
98. ჯამის ფორმის სასმისი
99. ფოთლოვანი ხე
100. ღრმა და ციცაბო ხეობა
101. ქვიშით დაფარული დიდი სივრცე
102. ჯიმ კერი ფილმში
103. პატარა სასადილო ძველად
104. ანდაზა: ... მტერს უბრმავებს თვალს, შიგნიდან კი მოყვარესო
105. „ჯადოქარი“ მარინა ...
106. ანწლი
107. ხელსაწყო მაგნიტის ისრით
108. ამერიკელი მსახიობის მადონას სრული სახელია მადონა ლუიზა ...
109. ტიბეტური ხარი
110. „დროის მანქანა“ სოლისტი
111. მამაკაცის მაღალი სასიმღერო ხმა
112. რეჟისორი ... შახნაზაროვი
113. მწერალი ლუიჯი ...
114. დუმბაძე. „თეთრი ...“
115. ნათურის აჟურული საფარი
116. მამალი კვიცი
117. წყალში მოხარშული ჭვრილად დაჭრილი ცომის ნაჭრები
118. ტბა აფრიკაში
119. ქართ. ხალხური სიმღერა კოსმოსში
120. გაზი, ანუ ...
121. ინდონეზიის დედაქალაქი
122. სახელმწ. მეთაურთა შეხვედრა
123. ფეხის ერთი გადადგმა
124. მხ/ფ „...-ჰარბორი“
125. ფიჭვის ანახეთქის ფისიანი ნაჭერი
126. ვენესუელას დედაქალაქი
127. ქალღმერთ ჰერას ქურუმი ქალი, რომელიც ძროხად გადააქციეს
128. ძვ. თბილისური მიმართვა
129. ბილიარდის ჯოხი
130. ტყუილი გარჯა
131. ესპან. ფეხბურთ. მსოფლიო ჩემპიონატ. თილისმა
132. სიუხვის სიმბოლო ბერძ. მითში, საიდანაც თაფლი და ღვინო გადმოდიოდა
133. მსახიობი ... რიშარი
134. „მთვარის მოტაცება“ თარამ ...
135. სიყვარულის ღმერთი ბიჭუნა
136. ერთკუზიანი აქლემი
137. რას თიბავენ ცელით
138. მგალობელი ფრინველი
139. ნაბიჯი ბალეტში
140. ნიშნავს მეათედს
141. ნაცია
142. ქალაქი ბელგიაში
143. ... ურჩევნია მამულსა
144. ჩაით გაშენებული ადგილი
145. ნიშნავს ჩირქოვანს
146. ბრედ პიტი ფილმში
147. ზამთრის ხილი
148. ... ძღუნი
149. ჯუჯა სამეფო ევროპაში
150. პატარა ტანის ძაღლი
151. ... გათეთრების ყორანი





პასუხები: 1. პაპი; 2. საკე; 3. ფუნდამენტი; 4. ნუნუ; 5. ვირი; 6. გული; 7. ჯაგარი; 8. იავარქმნილი; 9. ვერონიკა; 10. რეზერვუარი; 11. „არისტონი“; 12. გაზაფხული; 13. ლუსტრა; 14. იარანგი; 15. „რაზდანი“; 16. ესკულაპი; 17. ეტრატი; 18. „ელეგია“; 19. კუჭი; 20. მასკარადი; 21. მილენიუმი; 22. კამეა; 23. მოდი; 24. დრაიზერი; 25. არკა; 26. ბრნო; 27. სილოსი; 28. აბელი; 29. ატამანი; 30. ბულტერიერი; 31. თვალი; 32. ინა; 33. როდარი; 34. ბარმენი; 35. ანიტა; 36. ფესი; 37. იეთიმ; 38. დელფინი; 39. ლანცეტი; 40. მეგაფონი; 41. ენგ; 42. ნეო; 43. რანტიე; 44. სანდალი; 45. მინი; 46. კრილოვი; 47. ეშმაკი; 48. „სასაცილო გოგონა“; 49. სენიორი; 50. ნერპა; 51. არამ; 52. იბსენი; 53. ბერლინი; 54. როლს; 55. სერიალი; 56. მარლონ; 57. სევილია; 58. ნოტი; 59. ივ; 60. ფონი; 61. ევრიკა; 62. „ტურა“; 63. აპრილი; 64. ბარათაშვილი; 65. ჭიამაია; 66. ადამოვი; 67. გრაალი; 68. რევერანსი; 69. ლიეპა; 70. ტონიკი; 71. ნასტასია; 72. მონტიელი; 73. ოლარი; 74. ლაპლანდია; 75. ვოლანი; 76. კაკალი; 77. გელათი; 78. პრიმადონა; 79. სმალტა; 80. ინგრიდ; 81. ბატი; 82. ბალატონი; 83. ბიორკი; 84. ამა; 85. ანა; 86. იანვარი; 87. დოში; 88. ინგა; 89. ლისაბონი; 90. ნავთი; 91. აბი; 92. იმაგო; 93. დავით; 94. ქაბული; 95. ტვირთი; 96. კრისტინა; 97. საქალალდე; 98. ფიალა; 99. ნეკერჩხალი; 100. კანიონი; 101. უდაბნო; 102. „ნიღაბი“; 103. დუქანი; 104. გარედან; 105. ვლადი; 106. ავი; 107. კომპასი; 108. ჩიკონე; 109. იაკი; 110. მაკარევიჩი; 111. კრინი; 112. კარენ; 113. პირანდელო; 114. ბაირაღები; 115. აბაჟური; 116. ურა; 117. ატრია; 118. ჩადი; 119. „ჩაკრულო“; 120. აირი; 121. ჯაკარტა; 122. სამიტი; 123. ნაბიჯი; 124. პერლ; 125. კვარი; 126. კარაკასი; 127. იო; 128. ტო; 129. კიი; 130. ამაო; 131. „ნარანხიტო“; 132. რქა; 133. პიერ; 134. ემხვარი; 135. ამური; 136. დრომადერი; 137. ბალახი; 138. ბულბული; 139. პა; 140. დეცი; 141. ერი; 142. იპრი; 143. ის; 144. პლანტაცია; 145. პიო; 146. „ტროა“; 147. ხურმა; 148. მაო; 149. ანდორა; 150. ფინია; 151. არ. იკითხება: შარიფი. სტრეიზანდი.

ნინო ლაზარტყავა
571 99-92-33



**აწ უკვე საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა მთავრობის საქმიანობის სამწლიანი ანგარიშის წარდგენისას, განაცხადა, რომ უახლოეს დღეებში ეროვნული „სიტუაციური ოთახი“ დაიწყებს ფუნქციონირებას: „მოქალაქეთა უსაფრთხოება მხოლოდ სამხედრო თავდაცვისუნარიანობაზე არაა დამოკიდებული. ახალი კონსტიტუციის ძალაში შესვლის შემდეგ, გაჩნდა გარკვეული ვაკუუმი — განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მთავრობის დაქვემდებარებაში, უსაფრთხოების საკითხებზე მაკოორდინებელი ორგანოსა და მისი ფუნქციების ზუსტი განსაზღვრა. სწორედ ამ ამოცანების შესრულებისთვის შეიქმნა**



# რას ნიშნავს „სიტუაციური ოთახი“ და ვისთვის კეთდება — პრეზიდენტისთვის თუ პრემიერისთვის?

**სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო. უსაფრთხოების მიმართულებით სწრაფი და კოორდინებული მუშაობისთვის უახლოეს დღეებში ფუნქციონირებას დაიწყებს ბრიტანულ მოდელზე დაფუძნებული ეროვნული „სიტუაციური ოთახი“.**

**რა არის ეროვნული „სიტუაციური ოთახი“? რატომ გაჩნდა მისი შექმნა საჭირო, როდესაც სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოები არსებობს?**

**„ალიას“ უსაფრთხოების ექსპერტი, ვახტანგ მაისაია ესაუბრა:**

– დიდ ბრიტანეთში ამას ჰქვია ეროვნული „სიტუაციური ოთახი“ – „კობრა“. როდესაც რაიმე კრიზისული სიტუაციაა, ან, დავუშვათ, საომარი მდგომარეობაა, მთავრობა გადადის, ასე ვთქვათ, საგანგებო სიტუაციების რეჟიმში. ეს არის დაცული ტერიტორია, ბუნკერის ტიპის, სადაც არ აღწევს ბირთვული, ან საჰაერო დარტყმით მიყენებული ტალღა და ტერორისტებს, ან სხვა ექსტრემისტებს იქ შეღწევა გაუჭირდებათ. ეს არის აღნიშნული ოთახის იდეა. ახლახან პარიზში რომ მოხდა ტერაქტი და როცა საუბარი იყო, რომ პრეზიდენტი ოლანდი იყო თავდასხმის ობიექტი, ის სწორედ ასეთი ტიპის სიტუაციურ ცენტრში დაიმალა და თათბირი იქ ჩაატარა.

**მოკლედ რომ ვთქვათ, ეს არის კრიზისული მართვის სარეზერვო პუნქტი, საიდანაც საგანგებო მდგომარეობის პირობებში, პრემიერ-მინისტრი ახორციელებს ქვეყნის მართვას. უფრო დაცულ ტერიტორიულ სივრცეში იქნება და ამოქმედდება იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში სიტუაცია კრიტიკული იქნება. მაგალითად, როდესაც რუსეთმა ჰაერიდან დაბომბა თბილისი, დედაქალაქისკენ მოდიოდნენ და იყო შანსი, მომხდარიყო თბილისის ოკუპაცია, ასეთ შემთხვევაში მთავრობა გადადის საგანგებო სამუშაო რეჟიმის პირობებში.**

**— დიდი ბრიტანეთის გარდა, „სიტუაციური ოთახები“ კიდევ რომელ ქვეყნებშია?**

– ამერიკაშია, საფრანგეთი უკვე გითხარით, ბელგიაშია... ასეთი მოდელები, ძირითადად, ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედებს. პირველად მსგავსი ბუნკერი, თუ არ ვცდები, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა და მას შემდეგ სხვადასხვა ქვეყნებში მოქმედებდა, სადაც დაბომბვები ხდებოდა და საგანგებო სიტუაციები იყო.

**— ალბათ, ამ ტიპის ბუნკერის ადგილმდებარეობა, მისი ფუნქციისა და შინაარსიდან გამომდინარე, გასაიდუმლოებული იქნება. საინტერესოა, ჩვენთვის, საქართველოს მოქალაქეებისთვის, თუ იქნება ცნობილი მისი მდებარეობა?**

– ზუსტად ვერ გეტყვით... მაგალითად, ბრიტანეთში ეს ადგილი ნაკლებად არის ცნობილი, მოსახლეობა იგებს, რომ მთავრობა გადავიდა ეროვნული მართვის ცენტრში, ანუ „კობრაში“ შეიკრიბა, მაგრამ სად, როგორ, რა ვითარებაში, ეს ცნობილი არ ხდება ხოლმე. არც ისე დიდი ხნის წინ, რუსეთშიც გაიხსნა ეროვნული თავდაცვის ცენტრი.

**— თქვენ უსაფრთხოების ექსპერტი ბრძანდებით და როგორ ფიქრობთ, ტერიტორიულად სად უფრო ჯობია „სიტუაციური ოთახის“ აშენება? გამართლებული იქნებოდა მისი დედაქალაქში ფუნქციონირება?**

– სპეციფიკიდან გამომდინარე, წესით და რიგით, სასურველი იქნებოდა მისი ქალაქგარეთ გაკეთება, თუმცა, რამდენიმე ქვეყანაში ეს ქალაქის შიდა ტერიტორიაზეა. მოკლედ, გააჩნია ქვეყანას, თავად დედაქალაქის მდებარეობას და იმას, რამდენად შეიძლება იყოს ქალაქი გარე ან სხვა სახის აგრესიის, შეტევის საფრთხის ქვეშ.

**— „სიტუაციური ოთახი“ მხოლოდ მაშინ მოქმედებს, როდესაც ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობაა გამოცხადებული?**

– ძირითადად, მასეა, თუმცა, თუ რაღაც ექსტრავაგანტური სიტუაციაა, მაშინაც ფუნქციონირებს ხოლმე. ეროვნული „სიტუაციური ოთახი“ მოქმედებს ისეთ სიტუაციებშიც, როდესაც ქვეყანაში ვითარება იძაბება და არის საფრთხე, რომ მოხდეს ქვეყნის ან პოლიტიკური ხელმძღვანელობის საქმიანობის პარალიზება. მაგალითად, როდესაც სამხედრო გადატრიალება მზადდება... ბუნებრივია, ამ ტიპის ბუნკერი ყველანაირად აღჭურვილი უნდა იყოს – სარეზერვო მართვის, განათების, კომუნიკაციური კავშირგაბმულობის დამატებითი სისტემებით, რომლებიც შემდგომში უზრუნველყოფს შექმნილ ვითარებაში ოპერატიულ საქმიანობას.

**— მაქსიმუმ, რამდენი ხანი შეიძლება ასეთ ბუნკერში ყოფნა?**

– გააჩნია, ხელმძღვანელობა როგორ გადაწყვეტს და გააჩნია, რა ვითარება და პირობებია ქვეყანაში შექმნილი. ეს შეიძლება იყოს რამდენიმე დღით ან, მაქსიმუმ, ორ-სამ თვემდე, ალბათ. მე ჰიპოთეტურად გეუბნებით, თორემ შეიძლება მხოლოდ ერთი-ორი საათიც საკმარისი იყოს, როცა კრიზისი გადავა და შესაბამისი ზომები იქნება მიღებული.

**— საშუალოდ, რა ჯდება ამ ტიპის ბუნკერის აშენება?**

– მაგალითად, რუსეთში ასეთი ცენტრის მოწყობა 100 მილიონი დოლარი დაჯდა... ეროვნული „სიტუაციური ოთახი“ კრიზისული მიმართულების ცენტრს იმაში ჰგავს, რომ მასში დროებით შეიძლება იყოს მუდმივი ოპერატიული მართვის ცენტრი – სამშვიდობო პერიოდში, დავუშვათ, ხდებოდეს ოპერატიული ინფორმაციის მიღება და ანალიზი, ეს ერთი და შემდეგ, კრიზისული მართვის პერიოდში, გადაკეთდეს განსაკუთრებული ტიპის ოთახად. ანუ იქ შეიძლება იყოს 24-საათიანი ოპერატიული ანალიზისა და მართვის ცენტრი, რომელიც სიტუაციას 24-საათიან რეჟიმში გააანალიზებს.

**— რამდენად საჭირო იყო „სიტუაციური ოთახის“ შექმნა? მთავარ აგრესორთან თითქოს სიტუაცია ლაგდება...**

– ალბათ, ძირითადად, საუბარია ტერორიზმის საფრთხესთან დაკავშირებით და შესაძლოა, ამის გაკეთება ტერორიზმთან ბრძოლის კონტექსტში იყო განხილული, რადგან ქვეყანასთან „დაეშის“ მოახლოებისა და „დაეშის“ ვილიაიეთის გახსნის საფრთხის მომენტი არის. არ ვიცი, ხელისუფლებას აქვს თუ არა ეს ინფორმაცია, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, როგორც ჩანს, მთავრობა ერიდება სიტუაციის ამგვარ განვითარებას და ემზადება. „სიტუაციური ოთახის“ გაკეთება ლოგიკურიცაა, პარიზში მოხდა ტერორისტების თავდასხმა და ყველაფრისთვის უნდა ვიყოთ მზად.

**— 2008 წლის ომის შემდეგ, ხშირად ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ სააკაშვილი რაღაც საიდუმლო თავშესაფარს აშენებდა. თუ იცით, ააშენა თავშესაფარი?**

– მე მგონი, აშენდა. მე, როგორც ჩემი პირველადი განათლების, სამთოგეოლოგის კუთხით, შემიძლია ვთქვა, რომ პრეზიდენტის სასახლეს, მისი კონფიგურაციიდან გამომდინარე, გააჩნია ისეთი ადგილმდებარეობა, რომ ყველა ვარიანტში ექნება თავშესაფარი. როგორც ჩანს, მარგველაშვილის იქ გადასვლა ამითაც ყოფილიყო განპირობებული. რეზიდენციაში რამდენიმეჯერ ვარ ნამყოფი, ვიზუალურად კარგად მაქვს დათვალიერებული შენობა და შემიძლია გითხრათ, რომ ეს მომენტები მათ გააჩნიათ. სავარაუდოდ, იქ სხვადასხვა გვირაბების სარეზერვო გასასვლელები და ქვემოთ არსებული კომუნიკაციური სისტემა არის, რომელიც საგანგებო ვითარების დროს იძლევა იმის საშუალებას, რომ პრეზიდენტის უსაფრთხოება იყოს დაცული. შეიძლება, პრემიერსა და პრეზიდენტს შორის დაპირისპირება ამის გამოც ყოფილიყო, ამას არ გამოვრიცხავ, რადგან შეიძლება, იქ პრემიერი და საქართველოს მთავრობა შესულიყო, ასეთ დიდ შენობას სხვა რომელიმე უწყებას არ გადასცემდნენ.

**— რა გამოდის, პრემიერმა პრეზიდენტის ჯინაზე გადაწყვიტა „სიტუაციური ოთახის“ აშენება?**

– რა თქმა უნდა, ბუნებრივია. ჯერ ერთი, როგორც ჩანს, ეს პრესინგის ერთ-ერთი მომენტია და მეორე, უსაფრთხოების კუთხიდან გამომდინარე. როგორც მოგეხსნებათ, თავის დროზე რუსებმა შემოიყვანეს „ისკანდერები“ და საქართველო ბირთვული დარტყმის ქვეშ მოაქციეს. თუ ასეთი ბომბი დაეცა პრეზიდენტის სასახლეს, თავისუფლად შეუძლია, ის ნაკუწებად დაშალოს. როგორც ჩანს, ამერიკელებთან და სხვებთან კონსულტაციის შედეგად, მიხეილ სააკაშვილმა შეიმუშავა და დაიწყო ასეთი საპრეზიდენტო დაბრაზის მშენებლობა, სადაც თავშესაფარი და შესაბამისი კომუნიკაციური სისტემები არსებობს. ახლა პრეზიდენტს არავინ არაფერს ეკითხება, მთელი სახელისუფლებო ძალაუფლება გადასულია პრემიერის ხელთ, ადრე სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო პრეზიდენტის უშიშროების საბჭოს საპირწონედ შეიქმნა და გასაგები ხდება, რატომ მოხდა დაპირისპირება მასსა და პრემიერს შორის, გარდა იმ მომენტებისა, რაც ისედაც ცნობილია.

**— ანუ პრემიერმა ამ „ოთახის“ აშენებს თავისთვის გადაწყვიტა... ისე, ქვეყნის მთავარსალდალი პრეზიდენტია და საგანგებო მდომარეობასაც ის აცხადებს...**

– კონსტიტუციით მასეა, თუმცა პრეზიდენტმა შეიძლება ბევრი რამ გამოაცხადოს, მაგრამ მისი იმპლემენტაციაა საჭირო. პრეზიდენტი, როდესაც ბრძანებას გამოსცემს, ვთქვათ, საგანგებო მდგომარეობას გამოაცხადებს, ვინ აღასრულებს ამას, ვინაა მთავარი? აღსრულების მექანიზმები პრემიერ-მინისტრს აქვს გადაცემული, ამაშია მთელი კურიოზი.

**— მერე, ეგ კურიოზი ისევ კონსტიტუციურ დონეზე უნდა გამოსწორდეს... დავუშვათ, პრეზიდენტმა საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა, ამ შემთხვევაში, მთავრობა გადავა „სიტუაციურ ოთახში“. წესით, მთავარსარდალი პრემიერთან და მთავრობასთან ერთად უნდა იყოს და ერთად დაგეგმონ ღონისძიებები, ხომ?**

**— რა თქმა უნდა. კონსტიტუციით პრეზიდენტი არის უმაღლესი მთავარსადრალი, მაგრამ პრეზიდენტი სად წავა... მას ბევრ რამეს არ ეკითხებიან. წესით, ამ ოთახში ყოფნის პრეროგატივა მას ეკუთვნის, მაგრამ ერთი მომენტია: უშიშროების ერთი საბჭოს ხელმძღვანელი პრეზიდენტია და პრემიერსაც აქვს თავისი საბჭო, ანუ ორი უშიშროების საბჭოა შექმნილი. აქ ეს ვარიანტია: როგორც ჩანს, პრეზიდენტს აქვს დაცული ბუნკერი და პრემიერმაც ჩათვალა, რომ ასეთი ბუნკერი მასაც უნდა ჰქონოდა, მე ასე ვხედავ ამ საკითხს.**

ღმერთმა არ ქნას და ქვეყანაში თუ რამე კატასტროფა მოხდება, – ბირთვული დარტყმა, სამხედრო გადატრიალება, საგარეო ან ტერორისტული საფრთხე – რა თქმა უნდა, პრეზიდენტი და მისი ადმინისტრაცია, უშიშროების საბჭოს აპარატი დაცულ ადგილას აღმოჩნდებიან. როგორც ჩანს, პრემიერს ასეთი ტიპის დაცული ოთახი არ ჰქონდა და აქედან გამომდინარე, მან დააყენა ამ ტიპის ბუნკერის შექმნის საკითხი.

## მღვდელ-მონაზონ ილია ვაშაკიძეს მღვდელმოქმედება აეკრძალა



წმინდა სინოდის განჩინების თანახმად, მღვდელ-მონაზონ ილია ვაშაკიძეს მოქმედება აეკრძალა. როგორც წმინდა სინოდის განჩინებაშია ნათქვამი, სინოდმა იმსჯელა მღვდელ-მონაზონ ილია ვაშაკიძის შესახებ, რომელიც მუდმივად ავრცელებს ცილისმწამებლურ განცხადებებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქებზე. განჩინების მიხედვით, მღვდელ-მონაზონი ილია საქართველოს საპატრიარქოში დაბარებული იყო, მაგრამ არ გამოცხადდა. წმინდა სინოდმა დაადგინა, რომ კონსტანტინეპოლის მეორე კრების 26-ე და კართაგენის კრების მე-19 კანონების საფუძველზე მღვდელ-მონაზონ ილია ვაშაკიძეს აეკრძალოს მღვდელმოქმედება.

სინოდის გადაწყვეტილებას გამოეხმაურა მღვდელ-მონაზონი ილია ვაშაკიძე, რომელიც აცხადებს, რომ არ აპირებს, დაემორჩილოს სინოდის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას:

– ქრისტესმიერ საყვარელო ძმებო და დებო, მინდა განვაცხადო, რომ მე არ ვყოფილვარ დაბარებული სინოდის სხდომაზე და არ ვიცოდი, ჩემი საკითხი თუ განიხილებოდა. შესაბამისად, არ მომეცა ჩემი პოზიციის გამოხატვის უფლება. გამომდინარე აქედან, არ ვაპირებ, დავემორჩილო სინოდის ამ გადაწყვეტილებას და ჩემი ეს გადაწყვეტილება არ შეიძლება გახდეს მომავალში ჩემთვის უფრო მკაცრი სასჯელის საფუძველი, იმდენად, რამდენადაც სიცრუეზე აგებული განაჩენი ავტომატურად ანულირებულია დიდი სჯულის კანონის მიხედვით, – წერს ილია ვაშაკიძე „ფეისბუკზე“. (ნიუპოსტი)

## შსს-მ ქალებზე ძალადობაში ბრალდებული ტაქსის მძღოლის ვინაობა დაადგინა



ტაქსის მძღოლის ვინაობა, რომელსაც ქალებზე ძალადობაში ადანაშაულებენ, დადგენილია. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, ვინაობა დადგენილია და მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები. ამ ეტაპზე სხვა დამატებითი დეტალების გახმაურებისგან უწყება თავს იკავებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს რამდენიმე კვირის წინ მოქალაქემ მიმართა, რომლის ინფორმაციითაც, თბილისში გადაადგილდება ტაქსის მძღოლი, რომელმაც რამდენიმე ქალზე იძალადა. შსს-მ ფაქტზე დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლით, რაც ცემას გულისხმობს. (ინტერპრესნიუსი)

## აგენტების აგენტი იყავი შენც და შენი ძმაც — ინაშვილის მიმართვა ბერძენიშვილს



– არ გავა დღე, ლევან ბერძენიშვილმა არ მახსენოს. ახლა იმას არკვევს, ვინ უფრო გულწრფელია: მე (პროევროპელიც და პრორუსი ირმა ინაშვილი), თუ ნინო ბურჯანაძე (მხოლოდ პრორუსი)?! თან ამტკიცებს, რომ აგენტი არ ყოფილა და არც პუტინი მოსწონს. აგენტი არ ყოფილხარ კი არა, აგენტების აგენტი იყავი შენც და შენი ძმაც, იგივე პოლიტიკური ხვრელი, თუ, უბრალოდ, ხვრელი! პრორუსი კი არა, საბჭოთა უშიშროებას სიზმარშიც ხოტბას ასხამდით და მთელი თქვენი კურდღლად ქცეული ცხოვრების მანძილზე რამდენი კაცი ჩაუშვით და მოსპეთ, ამაზეც ვილაპარაკოთ, როცა გაგიხარდებათ.

მე ერთი უბრალო, პატარა ადამიანი ვარ. არასდროს ვყოფილვარ არც არავის აგენტი და არც არავის „პრო", არც სუკ-ის საბუთებით გამიტარებია ცხოვრება, ხოლო თქვენ... ორივე ძმა **КГБ**-ს მოწმობებს ყრმობიდანვე გულის ჯიბით ატარებდით. დარწმუნებული ვარ, ამ „სანუკვარ დოკუმენტს" დღესაც საგულდაგულოდ ინახავთ. ჰოდა, ი-**КГБ**-შნიკეთ და თავი დაგვანებეთ იმ ხალხს, რომლებსაც, თქვენგან განსხვავებით, არც ძერჟინსკის სახელზე დაგვინთია სანთელი და არც პუტინს ვუნთებთ კელაპტარს....

უგუნური და ჩლუნგი არ მგონიხართ. იარლიყს მიზანმიმართულად მაკერებთ. ჰოდა, თქვენი და თქვენი ძმის, იგივე ხვრელის, გასაგონად კიდევ ერთხელ გპასუხობთ: შეუშვით მაგ გასაბჭოებულ გონებაში, რომ არც მე და არც ჩემი მეგობრები არასდროს ვყოფილვართ პრორუსულები, არასდროს გამოგვიხატავს პრორუსული ან პროპუტინისტური აზრები, არც არასდროს გვისაუბრია ევრაზიულ კავშირზე და თუ ამას კვლავ ვერ, ან არ გაიგებთ, ჩავთვლი, რომ უბრალოდ ჩლუნგები ხართ, მაგრამ ვფიქრობ, თქვენ ეს მშვენივრად იცით.

უბრალოდ, გსურთ, ჩვენგან მტრის ხატი შექმნათ, ტყუილით, ცილისწამებითა და იარლიყების მიკერებით. მე კი იარლიყს არ გაკერებთ. პირდაპირ გეუბნებით, რომ **КГБ**-ს აგენტი იყავით. პირდაპირ გეუბნებით, რომ სამშობლოს ყიდდით და დღესაც ყიდით სოხუმსა და ცხინვალს. ამას მტკიცებაც კი არ სჭირდება. თავად ამბობთ ყველაფერს, ღიად, – წერს ირმა ინაშვილი სოციალურ ქსელში.

(marshalpress.ge)



**გელა ზედელაშვილი**
555 48-48-61

*„ეკონომიკური ტრენდი, რომელიც შერჩეული გვაქვს, სწორია. იმედი მაქვს, ჩვენ დავიწყებთ გადასახადების შემცირებას. ეს არის პაკეტი იმისთვის, რომ ქვეყანაში შეიქმნას სამუშაო ადგილები". ამის შესახებ ეკონომიკის მინისტრმა, დიმიტრი ქუმსიშვილმა განაცხადა და იქვე დაამატა, რომ მთავრობაში უკვე მსჯელობენ მოგების გადასახადის შემცირებაზე და მის დაყვანას დივიდენდის გადასახადამდე, რაც იმას ნიშნავს, რომ, თუ თქვენი კომპანიიდან დივიდენდს არ გაიტანთ, მაშინ არ იხდით მოგების გადასახადს და ეს იქნება რეინვესტიცია. თუ დივიდენდის რაღაც ნაწილს მაინც გაიტანთ, მაშინ შესაბამისი პროცენტი გექნებათ გადასახდელი.*

*ქუმსიშვილის თქმით, დღეს მოგების გადასახადიდან ბიუჯეტში შედის 800 მილიონიდან 1 მილიარდამდე ლარი. თუკი ამ ღონისძიების შედეგად ბიუჯეტი შემცირდება 1 მილიარდით, მაშინ ეს თანხა სხვაგან უნდა მოიძებნოს, თორემ რეინვესტირებული მოგების გადასახადი და ასევე, დივიდენდი შექმნის თუ არა სამუშაო ადგილებს სამომავლოდ, ეს კიდევ საკითხავია. ქუმსიშვილი ამბობს, რომ ჩამანაცვლებელი თანხები მოიძებნება და ეს საქმე 2016 წელს აუცილებლად გაკეთდება.*

*შეგახსენებთ, რომ დღეს საქართველოში საწარმოს მოგება 15%-ით იბეგრება, ხოლო საშემოსავლო გადასახადი 20%-ია. ესე იგი, თუ პატიოსნად მუშაობ, შენი ნაშრომის თითქმის ნახევარი ჯერ ბიუჯეტში მიდის, შემდეგ კი დანამატებსა და პრემიებში, აღარაფერს ვამბობ ათასნაირ სისულელეზე.*

სხვათა შორის, დღევანდელი ხელისუფლება საშემოსავლო გადასახადის შემცირებას ჯერ კიდევ 2013 წლის ივნისში იწყებდა, ხმაურიანი განცხადებებიც გაკეთდა, მაგრამ მერე ყველამ დაივიწყა. გეგმა კი ასეთი გახლდათ: 2013 წლიდან ხელფასის 2% უნდა ჩარიცხულიყო კონკრეტული მოქალაქის ანგარიშზე. 2014 წლიდან, თუკი ადამიანი თავისი სურვილით ხელფასის 3%-ს მიმართავდა დაგროვების ფონდში, მთავრობა მას დამატებით 3%-ს ჩაურიცხავდა. გვპირდებოდნენ, რომ აქტივების დაგროვებისა და მართვის კონტროლი კანონით იქნებოდა განსაზღვრული, მაგრამ ეს „ბაზარი" მალევე მოკვდა.

სამაგიეროდ, ცოტა ხნის წინ პარლამენტის თავმჯდომარესა და მთავრობას შორის დაიწყო დაპირისპირება საშემოსავლო გადასახადის დიფერენცირებული სისტემის შემოღებაზე – მთავრობას პარლამენტში შეტანილი აქვს პროექტი, რომლის მიხედვითაც, მას უნდა მიენიჭოს უფლება, საშემოსავლო გადასახადი კონკრეტულ პირებს საკუთარი შეხედულებისამებრ 3%-მდე შეუმციროს. დავით უსუფაშვილს უთქვამს, ეს კონსტიტუციას ეწინააღმდეგება და გადამხდელთა თანასწორობის პრინციპსაც ლახავს, გარდა ამისა, მთავრობისთვის ამ უფლების მინიჭება კორუფციული გარიგებების საფუძველი გახდებაო. ესე იგი, ჩვენ ამჟამად გვაქვს ორი მთავარი საკითხი: პირველი – მოგების გადასახადის გაუქმება ერთგვარი ნებაყოფლობით, მეორე – მთავრობას სურს, მიენიჭოს უფლება, ვისაც უნდა და როგორც უნდა, ისე შეუმციროს 3%-მდე საშემოსავლო გადასახადი. არსებობს კი მსგავსი მოდელები სადმე, სადაც ასეთმა მიდგომებმა გაამართლა?

**„ალიას" ეკონომიკის ექსპერტი ლია ელიავა ესაუბრა:**

– არა, მსგავსი რამ არსად არ არსებობს. საქმე ის გახლავთ, რომ საქართველოში დივიდენდის გადასახადი არის 5 პროცენტი, მოგების გადასახადი – 15 პროცენტი. ამ ქვეყანაში დივიდენდებს გასცემენ თითებზე ჩამოსათვლელი კომპანიები, მე დანამდვილებით ვიცი „საქართველოს ბანკი" და „თიბისი ბანკი", დანარჩენებს ვერც კი ვიხსენებ. როდესაც დივიდენდებზე მიდის საქმე, ფაქტობრივად, საქმე გვაქვს მსხვილ ბიზნესთან. გამოდის, რომ აქ რაღაც ჯგუფის ინტერესებია – კეთებს, ამის გაკონტროლება პრაქტიკულად შეუძლებელია. არ ვიცი, კიდევ ვიმეორებ, საიდან იგონებენ? კი, ბატონო, შეიძლება შეამცირო ყველასთვის რაღაც დოზით, მაგრამ 500 მილიონი რომ აქვს მოგება, იმ ორგანიზაციას რატომ უნდა გაუუქმო საერთოდ, თუკი თავისივე დივიდენდებს არ გასცემს თავისივე ხალხზე? ეს წარმოუდგენელია.

**— ჰოდა, დაახლოებით იგივეა, როცა მთავრობას აქვს სურვილი, საშემოსავლო გადასახადი შეუმციროს მავანს და მავანს 3 პროცენტამდე.**

– არსებობს ხოლმე ნორმები, როცა ახლად შექმნილ საწარმოებს, ან მთაში გახსნილ საწარმოებს უმცირდებათ ხოლმე გადასახადები და ეს ყველაფერი გაწერილი უნდა იყოს კანონში. მე არ გამიგია, მთავრობამ თავისი შეხედულებებით იმოქმედოს და ვისაც უნდა, შეუმციროს. რასაკვირველია, ეს გახდება კორუფციის წყარო და არის სრულიად მიუღებელი. ამას, ალბათ, არ მიიღებენ, მაგრამ ვიღაცას რომ თავში აზრად მოუვიდა, ესეც ძალიან ცუდია. რა ინფორმაციამაც გამოჟონა, ამის გაკეთება, უბრალოდ, წარმოუდგენელია, ბოლოს და ბოლოს, ეს სახელმწიფოა, კერძო საწარმო ხომ არა? საერთოდ, ამ საკითხის განხილვაც კი არ შეიძლება.

# მოგების გადასახადს აუქმებენ

## ვინ და რა შემთხვევაში აღარ გადაიხდის გადასახადს?



ესე იგი, დავიტოვებ დივიდენდს, შენ მოგების გადასახადი არ გადამახდევინო და ამ ფულს რეინვესტირებას გავუკეთებ. ჯერ ერთი, ვინ გამიკონტროლებს, თუკი ისევ ჩემსავე საწარმოში უნდა ჩავაბრუნო ფული?

**— რა გამოდის, ეს საქმე ბანკებისთვის არის მისწრება, მოგების გადასახადს დაიტოვებენ, გაასესხებენ და იტყვიან, რეინვესტირება განვახორციელეთო, ეგენი ფულს ისედაც ატრიალებენ.**

– ფაქტობრივად, მთავრობა ცდილობს, მსხვილი ბიზნესი მოგების გადასახადისგან გაათავისუფლოს. არის საწარმოები, რომლებსაც არ აქვთ დიდი მოგება, მაგრამ წამყვან ბანკებს რომ მილიონები აქვთ, ამისი 15 პროცენტი რამდენი იქნება, ხომ წარმოგიდგენიათ?

**— წარმომიდგენია, 300-400 მილიონ მოგებაზე გადიან ყოველწლიურად, მაგრამ ვისაც ცოტა აქვს, იმისთვისაც ხომ რაღაც შეღავათია?**

– რაც ცოტაა მოგება, მით ცოტაა გადასახადი და მე მრჩება შთაბეჭდილება, რომ მიდის მსხვილი ბიზნესის ლობირება. მოგების გადასახადის გაუქმება არის დაუშვებელი და საკუთარი ყელის გამოჭრა. ვინ სად ჩააბრუნებს თანხას და რას გაა-

**„ალია" დაინტერესდა, რა ვადებში აპირებს ეკონომიკის სამინისტრო ამ საკითხებზე პარლამენტში კანონპროექტის წარდგენას და რა ეტაპზეა ამჟამად? როგორც ეკონომიკის სამინისტროს პრესსამსახურში განგვიცხადეს, ამ თემაზე საუბრები კი არის, მაგრამ ვადები ჯერჯერობით არ დაუდგენიათ, ყოველ შემთხვევაში, 2016 წლის განმავლობაში ვარაუდობენ და ბოლოს კონკრეტულად რა სახეს მიიღებს, ჯერ გაურკვეველია.**

## აბა, რაღა უჭირთ აწი ბერძნებს — ერთსქესიანები იქაც დაქორწინდებიან

საბერძნეთის პარლამენტმა ერთსქესიანთა ქორწინება დააკანონა. გერმანული გამოცემა „დოიჩე ველეს" ინფორმაციით, შესაბამისი კანონი დებატების შემდეგ უმრავლესობის გადაწყვეტილებით, 193 ხმით იქნა მიღებული. 56-მა დეპუტატმა კანონს მხარი არ დაუჭირა.

აღნიშნულ რეგულაციას დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ კონსერვატორები და მართლმადიდებლური ეკლესია.

პრემიერ-მინისტრ ალექსის ციპრასის განცხადებით, ეს „ადამიანის უფლებებისთვის მნიშვნელოვანი დღეა".

დებატების განმავლობაში პარლამენტის წინ ასობით დემონსტრანტი მოითხოვდა ჰომოსექსუალთა უფლებების დაცვას, მოწოდებით, „ცხოვრება ცოდვა არ არის".

კანონი ძირითადად მემკვიდრეობას, საკუთრებასა და ერთსქესიან წყვილებს ეხება. მათთვის ბავშვის შვილად აყვანა კვლავ დაუშვებელია.

– საბერძნეთი ამ დრომდე ერთ-ერთი ბოლო ქვეყანა იყო ევროკავშირში, სადაც ჰომოსექსუალებს ქორწინება არ შეეძლოთ. 2008 წელს გაფორმებული მათი ორი პარტნიორობა ერთ წელში სამართლებრივად გაუქმდა. კანონის წინააღმდეგ ხმა მისცა უპირველეს ყოვლისა ეკლესიამ, თუმცა ასევე კონსერვატორებმაც, – წერს „დოიჩე ველე". (cp.ge)

## ფსიქიატრი და მომთვინიერებელი ხალხს დაგვჭირდება მალე ამდენი საძაგლობის შემხედვარეებს!!!



პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია შეწყალების კომისიასთან დაკავშირებულ სკანდალს კიდევ ერთხელ ეხმაურება. ბესელიას თქმით, თუ ელისაშვილი ვერ ხვდება, რომ ცრუობს, მაშინ მას სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა უნდა ჩაუტარონ:

– არც ტელეფონით, არც ესემესით და არც პირადად, არანაირი ფორმით, ვამბობ სრული პასუხისმგებლობით, ბატონ ელისაშვილთან არ მქონია შეხება. არც ამ და არც სხვა კონკრეტულ საქმეზე. ის შეგნებულად ცრუობს და აქვს, ალბათ, გააზრებული, რატომ აკეთებს ამას, მაგრამ თუ ის ვერ ხვდება, რომ ცრუობს, მაშინ სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა უნდა ჩაუტარონ. ეს ყველაფერი ნაციონალური მოძრაობის ინტერესებს ეხმიანება, ისინი ბედნიერები არიან ელისაშვილის განცხადებებით და კიდევ ვინ არის მასთან ერთად, გამოჩნდება, – განაცხადა ეკა ბესელიამ. (ნიუპოსტი)

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80

**მონიტორინგის ცენტრი „მედიატორი“ აგრძელებს 2016 წლის ბიუჯეტის პროექტის შესწავლას. რამდენი მილიონი ლარით იზრდება თბილისის მერიაში შრომითი ანაზღაურებისთვის განკუთვნილი ბიუჯეტი და რაში უნდა გაიფლანგოს კიდევ მილიონობით ლარი მომავალი წლის მანძილზე?**

# აბა, ერთი, ჭორვილის გამგებელი იყოს ნარმანია, ივანიშვილი თუ არ „მიჭირხვინიდა“!



**„ალიას“ მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ დამფუძნებელი ლევან ხაბეიშვილი ესაუბრა:**

– დავით ნარმანიამ, თავისი მუშაობის ანგარიში უკვე გააკეთა. ასევე, სხვადასხვა რაიონებში დადის და იბარებს ერთი წლის მუშაობის შედეგებს. უკვე იყო გლდანის, საბურთალოს, ნაძალადევის გამგეობებში, კიდევ აპირებს სხვა გამგეობებში მისვლასაც. ამის პარალელურად, ჩვენ უახლოეს დღეებში ვაპირებთ დავით ნარმანიას „წლისთავის“ პრეზენტაციის მოწყობას.

**— რა უნდა წარმოადგინოთ ამ პრეზენტაციაზე?**

– პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იქნება თბილისის მერის, დავით ნარმანიას მიერ, წლის განმავლობაში ჩადენილი „გმირობები“. საუბარი იქნება კორუფციაზე, ნეპოტიზმზე, სოციალურ და მენეჯმენტის პრობლემებზე. ასევე, ვისაუბრებთ 2016 წლის ბიუჯეტზეც, რომლითაც ყველაფერი გასაგები ხდება, რას უპირებს ნარმანია მომავალი წლის მანძილზე თბილისის მოსახლეობას. ჩვენ ვაგრძელებთ 2016 წლის ბიუჯეტის შესწავლას და უფრო და უფრო ნათელი ხდება, რომ ეს ბიუჯეტი მორგებულია, მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტული მაღალჩინოსნების კეთილდღეობაზე.

**— ბოლო კვლევაში რა აღმოუჩინეთ ნარმანიას ისეთი, რასაც თქვენს პრეზენტაციაზეც იტყვით?**

– ჩვენ, თქვენი გაზეთის წინა ნომრებში, დეტალურად ვისაუბრეთ, რამდენით გაიზარდა საშტატო ერთეულები. ამ დრომდე არავის დაუკონკრეტებია, რა დაგვიჯდება მიმავალ წელს თბილისის მთავრობის, საქალაქო სამსახურების, გამგეობების, მოადგილეებისა და ა.შ. შენახვა. მაგალითად, 2014 წელს ეს ციფრი იყო 48 მილიონი. ნარმანია რომ მოვიდა, თქვა, რომ აი, ჩვენ 5 მილიონი დავაკელით შრომის ანაზღაურებასო და 2015 წლის ბიუჯეტი დაგეგმეს 43 მილიონით. აქვე აღვნიშნავ, რომ სოციალური მიმართულებით ბიუჯეტი იყო 160 მილიონი, შემდეგ გაზარდეს 18 მილიონით და გახდა 178 და ნარმანია დიდი რიხით საუბრობდა, რომ აი, ჩვენ მოვიკელით შრომის ანაზღაურებისთვის თანხა და სამაგიეროდ სოციალური გავზარდეთო. ახლა ნახეთ, რა ხდება 2016 წელს – შრომის ანაზღაურება შეადგენს 100 მილიონ 771 ათას ლარს. გამოდის, რომ 57 მილიონი ლარით გაიზარდა შრომის ანაზღაურება წინა წელთან შედარებით.

**— გიგი უგულავა რომ იყო მერი, მაშინ რა ხდებოდა?**

– ამას თუ შევადარებთ გიგი უგულავას დროს დროსთან, შესაძლოა, ბევრი რამ თქვა, მაგრამ მის დროს გზა მაინც იყო და კეთდებოდა რაღაცა. 57 მილიონითაა შრომის ანაზღაურებისთვის განკუთვნილი თანხები გაზრდილი მაშინდელ ბიუჯეტთან შედარებით.

**— სოციალური მიმართულებით რა ხდება წელს წინა წელთან შედარებით?**

– თუ წინა წელს გაზარდეს 18 მილიონით სოციალური მიმართულებით ბიუჯეტი, წელს, თითქოს სოციალურად გაჭირვებულებს ეკონომიკური წინსვლა ჰქონდეთ, ამ მიმართულებით ბიუჯეტს 5 მილიონი მოაკლეს. სხვა მიმართულებებსაც შევეხები.

რაც შეეხება საგზაო ინფრასტრუქტურას – ხიდები, გზების მოვლა-პატრონობა, ახალი გზების დაგება, 2014 წელთან შედარებით, 2015 წელს ნამდვილად გაზარდეს, მაგრამ მიუხედავად გაზრდისა,

**ნებისმიერი თბილისელი დაგვეთანხმება, რომ ვითარება კი არ გაუმჯობესდა, პრობლემები გაუარესდა, მიუხედავად ბიუჯეტის ზრდისა. თუ 64 მილიონად გზები კეთდებოდა ქალაქში, 85 მილიონი რომ დაიხარჯა, სად წავიდა ეს გზები? ორმოებადაა ქცეული ქალაქი. ახლა რა ხდება ამ მიმართულებით — თუ შარშან 85 მილიონი იყო ამ მიმართულებით ბიუჯეტი, მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტით, ამ მიმართულებას 7 მილიონი მოაკლდა და გახდა 78 მილიონი. შესაბამისად, მომავალ წელს ჩვენ გვეყოლებიან გაქსუებული, სახეგაბადრული ჩინოვნიკები, რომლებსაც სახლიდან სამსახურამდე მისასვლელად სჭირდებათ 2 საათი, იმიტომ, რომ მთელი ქალაქი იქნება გადაქცეული ორმოდ. თუ 85 მილიონად ვერაფერი ვერ შეძლეს და ქალაქი ორმოს დაამსგავსეს, ნაკლები ბიუჯეტით რას გააკეთებენ,**

ყველა კარგად მიხვდება. ელემენტარული არითმეტიკა რომ მოვიშველიოთ, რაც მოაკლდა ინფრასტრუქტურულ და სოციალურ მიმართულებებს, სწორედაც ეს და უფრო მეტიც, დაემატა მერიის თანამშრომლების შრომით ანაზღაურებას და მათ კეთილდღეობას.

რაც შეეხება სატრანსპორტო განვითარების საკითხებს, უდავოა, რომ პრიორიტეტულია საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოწესრიგება. ამ მიმართულებით მიმდინარე წლის ბიუჯეტი თუ იყო 15 მილიონი, მომავალ წელს იქნება 9.6 მილიონი. ანუ კიდევ უფრო დიდ კრიზისში შევა ეს პრობლემა. ეს ბიუჯეტი არაფერს არ პასუხობს იმ მოთხოვნებიდან, რომლის წინაშეც დგას დედაქალაქი. კონკრეტულ ადამიანებზე მორგებული ბიუჯეტია.

**— ეს შრომის ანაზღაურების თანხა რომ მატულობს, მხოლოდ დამატებული საშტატო ერთეულების ანაზღაურება იქნება? კონკრეტულად ვის გაეზრდება კიდევ ანაზღაურება?**

– ერთ კვლევას ვაკეთებთ, რომელიც შეხება „კულტურის ცენტრს“, კულტურის საქალაქო სამსახური რომ გაიყო სამ სამსახურად, ცალკე დარჩა კულტურის საქალაქო სამსახური, რომელსაც გააჩნია „კულტურის ცენტრი“, რომლის დაფინანსებაც, შრომის ანაზღაურება, წინა წელს, სამივლინებო ხარჯები, პრემია-დანამატები, მანქანის მომსახურება, საწვავი შეადგენდა 440 ათას ლარს. ამ ააიპ-ს შრომითი ანაზღაურებისთვის განკუთვნილი თანხები გაიზარდა და გახდა 682 ათასი ლარი. ფაქტობრივად, მარტო ამ ცენტრში მოიმატა 200 ათასი ლარით შრომითმა ანაზღაურებამ. მარტო ამ ცენტრის ხელმძღვანელის ხელფასია 2800 ლარი. ფაქტობრივად, იგივე, რაც მინისტრის ხელფასია. მისი დანამატიც, ასევე 2800 ლარია, რომელსაც ასევე ყოველთვიურად იღებს. გამოდის, რომ მისი ყოველთვიური ანაზღაურება 5 600 ლარია. მოადგილის – 3 000 ლარზე მეტი.

**— რას აკეთებენ ამ ცენტრში ამ ხელფასების შესაბამისს?**

– ამ ცენტრის ერთადერთი ფუნქცია არის კულტურული ღონისძიებების ჩატარება. აბა, კარგად დაფიქრდით, რამდენი მასშტაბური კულტურული ღონისძიება ჩატარდა თბილისში? ეს „კულტურის ცენტრიც“, ჩვეულებრივ, გაქსუებული ბიუროკრატებისაა, სადაც მუშაობს დაახლოებით 15-20 ადამიანი.

იგივე ხდება ალუდა გოგლიჩიძის სამსახურში, რომელიც მერის მოადგილე იყო. ბიზნესის ხელშეწყობის რაღაც ორგანიზაციაში რომ გადავიდა, იქ წელს 340 ათასი იყო შრომითი ანაზღაურებების ბიუჯეტი, მომავალ წელს კი 200 ათასით გაიზარდა და 540 ათასით განისაზღვრა. გოგლიჩიძის სამსახურის მიერ განხორციელებული რაიმე ღონისძიებები ახსენდება ვინმეს? სამაგიეროდ ასეთი მიმართულებებით იხარჯება მილიონობით ლარი ჩვენი ბიუჯეტიდან.

როცა საგზაო მიმართულებით ხარჯებს ამცირებ 7 მილიონით, როცა ტრანსპორტის განვითარებისთვის განკუთვნილ ბიუჯეტს ამცირებ 6 მილიონით, როცა სოციალურ მიმართულებას აკლებ 5 მილიონს, ბინათმესაკუთრეობას – 4 მილიონს, სპორტს აკლდება 1 მილიონი, ავარიულ კორპუსებს – 18 მილიონი ლარი და ამ დროს 2-ჯერ იზრდება შრომითი ანაზღაურება, ნებისმიერი მიხვდება, რა პრინციპითაა დაგეგმილი ბიუჯეტი.

რაც შეეხება პიარს – ამ მიმართულებით ბიუჯეტში ჩადებულია შემდეგი რამ – თბილისის მერიის მიერ განხორციელებულ სამუშაოებზე სარეკლამო რგოლების დამზადება-გავრცელებაზე, მომავალი წლისთვის გამოყოფილია 1 მილიონი ლარი. როგორ მოგწონთ, გარეთ რომ გამოხვალთ და გზა არ დაგხვდებათ, სამაგიეროდ მერია კლიპს დაგიმზადებთ, როგორ კარგადაა გზები დაგებული?

**— იყო ინფორმაცია, რომ საკრებულოს უმრავლესობაში ნარმანიას იმპიჩმენტზე აქტიურად მსჯელობდნენ. რა შეიცვალა, „ზრდილობის გულისთვის“ მაინც რატომ არ უწევენ წინააღმდეგობას?**

– იმიტომ, რომ საკრებულოს რომელიმე დეპუტატს, რომელიც ერთ ადგილს აათამაშებს, აუცილებლად გაახსენებენ, რომ მისი შვილია, ახლობელია დასაქმებული და ა.შ. შესაბამისად, მომავალ წელს თბილისელებს შერჩებათ დიდი ორმოები, დიდი გაჭირვება, მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა, დანგრეული კორპუსები და ა.შ.

## საახალწლო სუფრა ყველაზე ძვირი აჭარაში ჯდება



ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა **ISET** საახალწლო სუფრის ინდექსს აქვეყნებს. ინდექსი საქართველოს ყველა რეგიონში სტანდარტული საახალწლო სუფრის ხარჯებს ითვლის, რომელიც 5-6-სულიან ოჯახზეა გათვლილი. ინდექსში შესულია საახალწლო სუფრის ძირითადი კერძები: ხაჭაპური, მწვადი, კალმახი, საცივი, ოლივიეს სალათი, შემწვარი ქათამი, ფხალი, კიტრისა და პომიდვრის სალათი, ასევე, გოზინაყი და ხილი. საახალწლო სუფრის ინდექსის თანახმად, ყველაზე ძვირი საახალწლო სუფრა აჭარაში ჯდება – 159 ლარი, რომელსაც იმერეთი – 154 ლარი და გურია – 149 ლარი მოჰყვება. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი კი შიდა ქართლშია, სადაც ინდექსის თანახმად, საახალწლო სუფრა საშუალოდ 121 ლარი ჯდება.

ინდექსის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი შიდა ქართლში, ყველაზე მაღალი კი აჭარაშია. **ISET**-ის ინფორმაციით, შიდა ქართლში სტანდარტული საახალწლო სუფრა, საშუალოდ, 121 ლარი ჯდება, აჭარაში კი – 159 ლარი. (bpn.ge)

## ყირიმში დონბასის „არყის მეფე“ მოკლეს



ყირიმში დონეცკის კრიმინალური ავტორიტეტი მიხეილ ლიაშკო მოკლეს. ის ასევე ცნობილია „მიშანია კოსოის“ და „მიხალ მიხალიჩის“ სახელებით. ლიაშკოს ცხედარი მისივე სახლში აღმოაჩინეს.

ლიაშკოს დაცვის თანამშრომლებმა სამი გასროლის ხმა გაიგეს, სახლში შევიდნენ, სადაც შეფი მოკლული დახვდათ.

მიხეილ ლიაშკო ცნობილი გასული საუკუნის 90-იან წლებში გახდა.

ის დონბასის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი კრიმინალური ავტორიტეტი იყო. ლიაშკო დიდი ხნის განმავლობაში სათამაშო ბიზნესს აკონტროლებდა და ჯართის შესყიდვით იყო დაკავებული.

ის ახლო ურთიერთობებში იყო რინატ ახმეტოვთან და ბორის კოლესნიკოვთან. ბოლო წელიწად-ნახევარი ლიაშკო აქტიურად თანამშრომლობდა „დონეცკის რესპუბლიკის“ ხელმძღვანელობასთან. ერთ-ერთი ვერსიით, მან სეპარატისტების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან ჯართის გატანის სქემა შეადგინა. (კვირა.გე)

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო

## ეკვადორში მომავალი მამა გელფრენდისგან დაფეხმძიმდა



ეკვადორელი ტრანსგენდერი წყვილი სამხრეთ ამერიკაში უპრეცედენტო ოჯახს ქმნის. 33 წლის დიანა როდრიგესმა, რომელიც ცნობილი ‘ლგბტ“ აქტივისტია, ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ მისი 22 წლის ბოიფრენდი ფერნანდო მაჩადო მისგანაა ფეხმძიმე. ეს პირველი ტრანსგენდერი წყვილია ქვეყანაში, რომელიც შვილს გააჩენს.

როდრიგესი და მაჩადო 2013 წლიდან ცხოვრობენ ერთად, მას შემდეგ, რაც სოციალურ ქსელში გაიცნეს ერთმანეთი.

ფერნანდო მაჩადო დაიბადა და გაიზარდა ვენესუელაში. საცხოვრებლად ეკვადორში გადავიდა თავის გელფრენდთან საცხოვრებლად.

დიანა როდრიგესი, რომელსაც დაბადებისას მამაკაცის სქესი მიაწერეს, პირველი ტრანსგენდერია, რომელიც ეკვადორში კონგრესის არჩევნებში კანდიდატად იყრის კენჭს. მან არაერთხელ განაცხადა, რა რთული იყო მისთვის, მშობლებისთვის ეთქვა ყველაფერი, რომლებმაც ის სახლიდან გამოაძევეს. გარკვეული დროის განმავლობაში ის ქუჩაში ცხოვრობდა.

ფილიპე მაჩადოს თქმით, სქესის შეცვლას მისი ოჯახი მხარს უჭერდა.

წყვილმა ფეხმძიმობის შესახებ სოციალურ მედიაში გაავრცელა განცხადება. დაფეხმძიმება ბუნებრივად მოხდა, რადგან არც ერთ მათგანს ქვედა ტანის ოპერაცია სქესის შეცვლით მიზნით, არ გაუკეთებია.

***news.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## კვლევის თანახმად, შობის დღეებში ყველაზე მეტად ბოზები იტვირთებიან



ლონდონში შობისა და ახალი წლის დღეები ზოგიერთი პროფესიის წარმომადგენლისთვის განსაკუთრებით დატვირთულია.

ახალი კვლევის თანახმად, შობის ღამე განსაკუთრებით დატვირთული ბოზებისთვის აღმოჩნდა, რადგანაც სადღესასწაულო დღეებში მათ მომსახურებას ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მყოფი გაცილებით მეტი ადამიანი მიმართავს.

მეორე მხრივ, როგორც თავად სექსმუშაკები აცხადებენ, არსებობენ გულუხვი და ყურადღებიანი ადამიანები, რომლებსაც მათთვის საშობაო დღეებში საჩუქრები მიაქვთ.

‘კლიენტებისგან ბევრ საჩუქარს ვიღებ, ისევე, როგორც იმ ხალხისგან, რომელთანაც ვმუშაობ. მეზობლები საშობაო ბარათებს მიგზავნიან, რომლებმაც იციან, სადაც ვმუშაობ. შეიძლება ეს უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს. ისინი თავისთან მეპატიჟებიან და როდესაც ვისვენებ, თავაზიანად მესალმებიან“, – აცხადებს ერთ-ერთი ბოზი.

კვლევის ფარგლებში გამოკითხულები ასევე აცხადებენ, რომ მათთვის შობისა და ახალი წლის დღეები მაქსიმალურად დატვირთული და უცნაურია. იანვარში კი, ისინი შედარებით თავისუფლები არიან.

‘შობის შემდეგ რამდენიმე კვირა სიმშვიდეა, რადგანაც ხალხს, რომელიც ჩვენთან მოდის, მინიმუმის გადახდა სურს. ეს მართლაც რთული პერიოდია ჩემთვის, როცა ნაკლებ თანხას გიხდიან“, – აცხადებენ კვლევის ფარგლებში გამოკითხული ბოზები.

***info9.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ლონდონში შეგიძლიათ დალევის გარეშე, ყნოსვით დათვრეთ



ვისაც მოსწონს ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ ყოფნა, მაგრამ სმა ეზარება, ან გემო არ მოსწონს ალკოჰოლური სასმელების, ლონდონში გახსნილი ბარი მასზეა ზედგამოჭრილია.

თურმე, შესაძლებელია დათვრე ისე, რომ არც ერთი გრამი ალკოჰოლი არ დალიო, მეტიც, ჭიქა ხელშიც კი არ აიღო. ამის ნაცვლად კი, შეგიძლია სასმელი შეისუნთქო.

სიახლის ავტორების განმარტებით, ალკოჰოლი კოქტეილის სქელ ღრუბლად გადაიქცევა, რომლითაც სივრცეა გაჯერებული. ღრუბელი იმდენად დიდი და სქელია, რომ 100 მეტრის იქით რამის დანახვა შეუძლებელია.

ბარში შესვლისას სტუმრები სპეციალურ ფორმას იცმევენ, ვინაიდან ალკოჰოლი ორგანიზმში ფილტვებისა და თვალების მეშვეობით შედის.

შემდეგ იხდიან 10 ფუნტს და შეუმჩნევლად თვრებიან.

ბარის მეპატრონეები ამბობენ, რომ ამ ხერხით ადამიანი ღვიძლის დაავადებისა და ზედმეტი კალორიების მიღებისგან განთავისუფლდება...

***anekdot-dnya.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## წიგნის დასაწერად ციხეში ჯდომა აუცილებელია?



რუსეთის ქალაქ კუნგურში მხატვრული ლიტერატურისთვის თავშეწირულმა კაცმა მაღაზია გაქურდა და 11300 რუბლი მოიპარა.

თავიდან დანაშაულს ის კატეგორიულად არ აღიარებდა, მოგვიანებით კი გამოტყდა, რომ მაღაზია განგებ გაქურდა, რათა ციხეში ჩაესვათ. ციხეში მოხვედრა მას იმისთვის სურდა, რომ იქაურ ცხოვრებაზე წიგნი დაეწერა.

მისი თქმით, წიგნი მომავალ თაობას საშინელი დანაშაულების ჩადენისგან იხსნის.

სასამართლომაც უცნაური მწერლის სურვილი გაითვალისწინა და საერთო რეჟიმის კოლონიაში 4,5 წლით გაამწესა.

საინტერესოა, პატიმრობა რა წიგნად უნდა გილირდეს ადამიანს?!

***anekdot-dnya.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...



## განქორწინება პოზიტიური მოვლენაა?!

სამყარო გადატვირთულია ნეგატიური ინფორმაციით. ვინაიდან კარგი იშვიათად ხდება (და თუ ხდება, ადამიანები იმასაც სკეპტიკური თვალით უყურებენ) საჭიროა ცუდი აღვიქვათ პოზიტიურად.

რასთან იყო აქამდე დაკავშირებული ოჯახის დანგრევა? სტრესი, ტირილი, ნერვიულობა, დეპრესია, უხასიათობა, ცხოვრების აზრის დაკარგვა. ახლა კი აღმოჩნდა, რომ ადამიანთა უმრავლესობა განქორწინებას ძალიანაც პოზიტიურ მოვლენად მიიჩნევს.

მეტიც, ეს ცხოვრებისგან ბოძებული ახალი შანსები და ახალი გამოწვევებია.

ამერიკაში ჩატარდა სოციალური კვლევა, რომელშიც ათასზე მეტი ქალი და მამაკაცი მონაწილეობდა.

აღმოჩნდა, რომ თანამედროვე ადამიანები მეორე ნახევართან თანაცხოვრების შეწყვეტას ცხოვრების განახლებისა და გაუმჯობესების შესაძლებლობად მიიჩნევენ.

კვლევის მონაწილეთა ასაკი 18-დან 49 წლამდე იყო. მათმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ ღირებულებები გადაფასებულა, განქორწინებას ტრაგედიას კი არა, განახლებას, ახალგაზრდობას და თვითდაჯერებულობას უკავშირებენ.



‘აბსოლუტური უმრავლესობა, 84 პროცენტი გამოტყდა, რომ ოჯახის დანგრევას პოზიტიურ მოვლენად იღებდნენ. 80 პროცენტი თავიანთ გაყრას ახასიათებდა, როგორც მეორე შანსს. 64 პროცენტი კი, თურმე დაშორების შემდეგ თავს უფრო ახალგაზრდად გრძნობდა“, – აღნიშნა კვლევის ავტორმა.

სოციოლოგების თქმით, განქორწინების ინიციატორები უფრო ხშირად ქალები არიან. ქალები ამბობდნენ, რომ გაყრის შემდეგ საოცარ სიმსუბუქეს, სიმშვიდესა და ოპტიმიზმს გრძნობდნენ. დარწმუნებული იყვნენ საკუთარ ძალებში, გრძნობებში და სჯეროდათ, რომ ცხოვრება ახლა დაიწყო და მათ წინაშე ახალი გზები გამოჩნდა. ფსიქოლოგებმა ქალების ეს ახალი თავისუფლების შეგრძნება იმით ახსნეს, რომ ისინი კაცებისგან განსხვავებით, უფრო მეტს ურთიერთობენ მეგობრებთან, ნათესავებთან, რომლებისგანაც მხარდაჭერას გრძნობენ და თვითშეფასება უმაღლდებათ.

ქორწინების შეწყვეტის ყველაზე შთამაგონებელი მიზეზი თავისუფალი სექსუალური ცხოვრების პერსპექტივა აღმოჩნდა. გამოკითხულთა 40 პროცენტი გამოტყდა, რომ ყველაზე კარგი განქორწინებაში ის არის, რომ ახალი სექსუალური პარტნიორები ჩნდებიან.

ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ კვლევის მონაწილეთა 27 პროცენტი კვლავ აგრძელებს თავის ყოფილ მეუღლესთან სექსუალურ ურთიერთობას.

***glunews.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## ჩინელმა მანქანის საფასური 4 ტონა მონეტით გადაიხადა




რისთვის ვიყენებთ ხურდას? ვყიდულობთ საღეჭ რეზინს, ვაძლევთ მოწყალების მთხოვნელს, ვყრით ყულაბაში, ან ლიფტით სარგებლობისას ვიყენებთ.

ჩინელმა მამაკაცმა კი ხურდა უფრო დიდი მიზნისთვის გამოიყენა და 680 000 იუანად შეფასებული მანქანის საფასური მონეტებად გადაიხადა. ავტოსალონში 1320 შეკვრა ხურდა ფული იდო. როცა მაღაზიაში გადაიტანეს, წონით 4 ტონა აღმოჩნდა, ერთად დაწყობის შემდეგ კი 4 მეტრს მიაღწია.

მანქანაზე მეოცნებე კაცმა კი აღნიშნა, რომ არც სალარო გაუტეხია და არც მათხოვარი გაუძარცვავს. უბრალოდ, ბენზინგასამართ სადგურზე მუშაობდა და ავტობუსისა და ტაქსის მძღოლები ხურდა ფულით იხდიან თანხას. ჰოდა, მეც ავდექი და თქვენ გადაგიხადეთო

***anekdot-dnya.ru***

სანდერეყო ამბები... სანდერეყო ამბები... სანდერეყო ამბები...



## ჰაერში სექსი ისეთი სარფიანი ყოფილა, ისეთი...

ვისაც როგორ შეუძლია, ისე შოულობს ფულს. ვინ ქრისტიანულ პრინციპებს მიჰყვება და შრომითა თვისითა მოიპოვებს პურსა მისსა. ვინ 10 მცნების დარღვევით ცდილობს ამქვეყნიური სამოთხის შექმნას.

სტიუარდესამ, რომლის ვინაობაც არ სახელებდა, 2 წლის განმავლობაში მაღალი ანაზღაურების ფასად ბიზნესკლასის მგზავრებთან სექსის წყალობით მილიონის დაგროვება შეძლო.

ცნობილია ისიც, რომ ის ახლო აღმოსავლეთში მუშაობდა და უპირატესობას შორეულ რეისებს ანიჭებდა. ერთი ეგ არის, მორიგი მტლაშა-მტლუშისას მას წაასწრეს და სარფიანი საქმიანობაც აეკრძალა.

მილიონერი სტიუარდესა ავიაკომპანიიდან გაათავისუფლეს და ქვეყნიდან დეპორტაციაც ზედ მიაყოლეს.

*anekdot-dnya.ru*

სანდერეყო ამბები... სანდერეყო ამბები... სანდერეყო ამბები... სანდერეყო სანდერეყო ამბები...

## ნიდერლანდებში მართვის მოწმობის აღება სექსუალური მომსახურების ხარჯზეა შესაძლებელი



ნიდერლანდების ზეჰუმანურმა ავტოსკოლამ გაითვალისწინა რა, რომ მანქანის მართვის სწავლის ყველა მსურველს, შესაძლოა, შესაბამისი ეკონომიკური მდგომარეობა არ ჰქონდეს, შექმნა გადახდის ახალი სერვისი. სერვისის თანახმად, თუ ავტო-სკოლის თანამშრომელი მოსწავლეს თანხის სანაცვლოდ სექსუალური მომსახურებით გადახდას შესთავაზებს, დანაშაულად არ ითვლება და არც კანონდარღვევად. ამასთანავე, პარტნიორები 18 წელს ზევით უნდა იყვნენ. აი, თუ მოსწავლემ თავად მოინდომა თანხების დაზოგვა და ახალი სერვისის გამოყენება, ეს უკვე დანაშაულია.

ანუ გამოდის, რომ, თუ მასწავლებელს მოსწავლე არ მოეწონა და მასში სექსუალური სურვილები ვერ აღძრა, ვერც თანხის გადახდას გადაურჩება.

აი, ასეთი შერჩევითი სამართლის მსხვერპლები არიან ნიდერლანდელები.

მთავრობა ასეთი სახის ჩანაცვლებას კანონიერად მიიჩნევს, მაგრამ არა სასურველად. კიდევ კარგი, რომ ტაშითაც არ შეხვდა.

*anekdot-dnya.ru*

სანდერეყო ამბები... სანდერეყო ამბები... სანდერეყო ამბები... სანდერეყო სანდერეყო სანდერეყო ამბები...

## გაქურდულმა გამყიდველმა გამქურდავები გაქურდა



„ქურდის ქურდი ცხონდაო“ და ნაქურდალის დამბრუნებელი მაღაზიის თანამშრომელი უფრო ცხონდაო.

ბრიტანეთის სოფელ კამში, საყოფაცხოვრებო ტექნიკის მაღაზიაში ორი დამნაშავე შეიპარა და სარეცხის საშრობი მოიპარა.

თანამშრომელი ჯონ კანინგემ-სმიტი მაღაზიის ბოლოში იმყოფებოდა, ამიტომაც დამნაშავეებმა ვერ შენიშნეს, სამაგიეროდ ჯონმა კამერებში კარგად დაინახა, როგორ გაიტანეს მოპარული ნივთი ავტოსადგომზე, როგორ ჩადეს მანქანაში და რა მიმართულებით მოუსვეს.

ჯონმაც არ დააყოვნა, მაღაზია დაკეტა და მანქანით ცხელ კვალს დაადგა. ქურდები სუპერმარკეტთან მანქანიდან გადავიდნენ, გასაღები კი მანქანაში დატოვეს. სმიტმაც მოპარული ტექნიკა თავის მანქანაში გადაიტანა, მაღაზიაში დააბრუნა და შემდეგ პოლიციას დაუკავშირდა, რომელსაც მანქანის ნომერი და ქურდების დამახასიათებელი ნიშნები ჩააწერინა. პოლიციას ისღა დარჩენოდა ქურდებისთვის მხოლოდ ბორკილები დაედო.

უცნობია, რა სახით გადაუხადა ჯონს მაღაზიის მფლობელმა მადლობა, მაგრამ მამაცი თანამშრომელი რომ არის, უდავოა.

*glunews.ru*

სანდერეყო ამბები... სანდერეყო ამბები... სანდერეყო ამბები... სანდერეყო სანდერეყო

## უგზო-უკვლოდ დაკარგული ჩინელი გოგონა 10 წელი ინტერნეტ-კაფეში ცხოვრობდა



რა ასაკამდე გრძელდება თინეიჯერობა და მასთან დაკავშირებული პრობლემები, რომელიც ძირითადად ოჯახთან გვექმნება? მგონი, 19 წლამდე. ერთ-ერთ ჩინელ გოგოს კი 24 წლამდე გაუგრძელდა და ჯერ კიდევ უცნობია, მორჩება თუ არა თინეიჯერულ „გაჭედვებს“.

თურმე, 10 წლის წინათ, 14 წლის ასაკში ოჯახთან უჩხუბია და სახლიდან წამოსულა. ოჯახს ბევრი ძებნისა და ვერმოძებნის შემდეგ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ჩაუთვლია. ეს კი 10 წლის განმავლობაში ინტერნეტ-კაფეში ცხოვრობდა სტუმრებისა და თანამშრომლების ხარჯზე.

ერთ მშვენიერ, თუ არც ისე მშვენიერ დღეს კი, პოლიციას საბუთების არქონის გამო დაუკავებია. ზრდასრული თინეიჯერიც გამოტყდა, რომ ოჯახს გაექცა და ბრაზი 10 წელი ვერ მოინელა. პოლიციამ მას ჯარიმა გამოუწერა და ოჯახს დაკარგული შვილის შესახებ შეატყობინა.

*anekdot-dnya.ru*

სანდერეყო ამბები... სანდერეყო ამბები... სანდერეყო ამბები... სანდერეყო

## სალათი „ოლივიე“ ვაფლის ჭიქებით




რუსეთის ქალაქ ყაზანში ყველასთვის საყვარელ და ცნობილ სალათ „ოლივიეს“ ახალი სახით წარდგენა გადაწყვიტეს. სალათს ნაყინისთვის განკუთვნილი ვაფლებით ყიდიან. მისი ღირებულება 85 რუბლს შეადგენს.

სოციალურ ქსელში ამ სიახლეს დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ერთ-ერთი მომხმარებელი წერდა, რომ ეს სასწაულია და კარგია, რომ ჭიქები ვაფლისაა და არა პლასტმასის. შესაძლოა, იმით იყო მოხარული, რომ გადახდილ 85 რუბლს სრულად აითვისებდა და რაღაც ნაწილის ნაგავში გადაგდება არ მოუწევდა.

*joinfo.ua*

სანდერეყო ამბები... სანდერეყო ამბები... სანდერეყო ამბები... სანდერეყო

## ისრაელში ქურდი პოლიციელს მანქანაში თავად ჩაუჯდა



ალბათ, გეგონათ, რომ მსგავსი საბედისწერო კურიოზები მხოლოდ ჰოლივუდურ ფილმებში ხდებოდა. არა და არა, ეს უკვე რეალობაა.

რამალში მცხოვრებმა 28 წლის დამნაშავემ სახლი გაქურდა და ადგილიდან მიმალვა სცადა. ვინაიდან პოლიცია შემთხვევის ადგილზე მეტისმეტად ოპერატიულად გამოცხადდა, დამნაშავემ მიმალვა ვერ მოასწრო, იქვე მდგომ ავტომობილში ჩახტა და მძღოლს მოუთმენლად შემოუძახა – „წავედით!“

„მხსნელი“ მძღოლი კი პოლიციელი აღმოჩნდა და ზედმეტი სამძებრო საქმიანობების გარეშე ნებით ჩამწყვდეულ ჩიტს კარიც ჩაუკეტა.

როგორც ჩანს, მშობლებს თავის დროზე გაფრთხილება დაავიწყდათ, რომ უცნობ ძიებს მანქანაში არ ჩასჯდომოდა და აი, შედეგიც!..

*anekdot-dnya.ru*



– სპეციალურად რუსეთისთვის „კოდაკმა“ ახალი ფოტოაპარატი გამოუშვა – ამიერიდან წითელი თვალების მოცილების ეფექტს დაემატა წითელი ცხვირის მოცილების ეფექტიც!!!

*****

– თუკი ოჯახური სკანდალის შემდეგ ცოლმა მოულოდნელად ყველაფერი გაპატიათ, ეს იმას ნიშნავს, რომ მან შურისძიების ხერხი მოიგონა!..

*****



– უკაცრავად, თქვენთან ინტერვიუს ჩაწერა შეიძლება?

– ჩემთან? უცნაურია... და რატომ? მე ხომ განსაკუთრებულს არაფერს ვაკეთებ. ვცხოვრობ ჩვეულებრივად – სახლი, სამსახური, სახლი სამსახური. რატომ დაინტერესდით ჩემით?

– კარგით რა, ბატონო გიორგი, თქვენ ხომ პრეზიდენტი ხართ?!

*****

– კოტე, შენ ჯარში მსახურობდი?

– არა, არ ვმსახურობდი. არ წამიყვანეს...

– და რატომ არ წაგიყვანეს?

– ვერ მიპოვეს...

*****

ქალიშვილი სახლში გამთენიისას დაბრუნდა. მამა წყობილებიდანაა გამოსული:

– სად ეგდე?!

ქალიშვილი ამაყად:

– ღამე ეროვნულ გმირთან გავატარე!

– ვისთან?!

– უცნობ ჯარისკაცთან!..

*****




– ქალბატონო, რამდენს იწონით?

– საიდუმლოა!

– პირველი სამი ციფრი მაინც მითხარით, რა...

***მოამზადა მიხეილ სახვაძემ***
***დავით ახობაძის ნახატი***

## ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

*გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას*

მეუღლე ნანა ცნობილაძე, შვილები გიორგი და თამუნა საბახტარიშვილები, სიძე გიორგი ბაგრატიონი, შვილიშვილები მუხრან და ელენე ბაგრატიონები მწუხარებით იუწყებიან

**მერაბ საბახტარიშვილის**

გარდაცვალებას

**პანაშვიდები:** 24, 25 დეკემბერს. 16 საათზე.

**მისამართი:** მიცკევიჩის ქ. №25, მე-7 სად. მე-6 სართული.

ძმა ვახტანგ საბახტარიშვილი ოჯახით, და მანანა გუგუშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**მერაბ საბახტარიშვილის**

გარდაცვალებას.

მუხრან ბაგრატიონი ოჯახით მწუხარებით იუწყება

**მერაბ საბახტარიშვილის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

შპს „თერგი-I“-ის და შპს „ქალაქის გულის“ ადმინისტრაცია იუწყება

**მერაბ საბახტარიშვილის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

შპს „ოქროს კიდობნის“ ადმინისტრაცია იუწყება, რომ გარდაიცვალა

**მერაბ საბახტარიშვილის**

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

შპს „თი ელ ჯი“-ს ადმინისტრაცია იუწყება, რომ გარდაიცვალა

**მერაბ საბახტარიშვილის**

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს

*გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას*

## დედამიწის მეზობელ პლანეტებზე მცენარეები შავი ფერისაა?



ბრიტანელი მეცნიერების დასკვნის თანახმად, ცხოვრებისთვის ვარგის პლანეტებზე შესაძლოა, მცენარეებს შავი ფერის ფოთლები და ყვავილები ჰქონდეს.

მოსაზრების ავტორების განმარტებით, ე.წ. „წითელი ჯუჯების“ გარშემო მბრუნავი პლანეტები ფოტოსინთეზის მისაღწევად სინათლის უდიდეს სპექტრს უნდა იყენებდნენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანის მხედველობა მსგავს პლანეტებზე მცენარეებს შავ და რუხ ფერებში აღიქვამს.

აღნიშნული მიმართულებით ბრიტანელი მეცნიერები მუშაობის გაგრძელებას კვლავ აპირებენ, თუმცა გაუგებარია, როგორ შეიძლება რამე ამტკიცო, როცა დედამიწის ყველაზე ახლომდებარე პლანეტებიც კი არ არის შესწავლილი?..

*ufolog.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**24 დეკემბერი:** დღე გარშემომყოფნი თქვენს მიმართ უჩვეულოდ კეთილმოსურნენი იქნებიან. იგივეთი უპასუხეთ და ეს დღე დიდხანს გემახსოვრებათ.

**კურო 22.04-21.05**

**24 დეკემბერი:** შესაძლოა, დღეს შეიძინოთ რაღაც, რაც მთელი ცხოვრება გაგყვებათ. ყველაფერი იღონეთ, რომ ეს, მაგალითად, ქრონიკული დაავადება არ იყოს.

**ტყუპები 22.05-21.06**

**24 დეკემბერი:** შეიძლება მცირე, მაგრამ უსიამოვნო უხერხულობებს გადააწყდეთ. არ ინერვიულოთ, ყველაფერი თქვენს სასიკეთოდ შემობრუნდება.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**24 დეკემბერი:** როგორც ჩანს, მოგზაურობის დაუოკებელი სურვილი შეგიპყრობთ. თუ დღეს ამის შესაძლებლობა არ გაქვთ, ცოტა მოითმინეთ და გაგიმართლებთ.

**ლომი 23.07-22.08**

**24 დეკემბერი:** არავინაა ვალდებული, თქვენი მოქმედებები წარმართოს და თუ შერცხვით, საკუთარ თავს დააბრალეთ. ძალიან ყურადღებით იყავით.

**ქალწული 23.08-22.09**

**24 დეკემბერი:** კარგი იქნება, თუკი რაიმე სახის კამათში არ ჩაერთვებით. დიდი ალბათობით, თავს ვერ გაართმევთ და მარცხის აღიარება მოგიწევთ.

**სასწორი 23.09-22.10**

**24 დეკემბერი:** რაც არ უნდა ხდებოდეს თქვენს გულსა და გონებაში, გამომეტყველებაზე არ უნდა შეიმჩნიოთ. თქვენს პირად ცხოვრებას ნუ გაამჟღავნებთ.

**მორიელი 23.10-21.11**

**24 დეკემბერი:** აუცილებლად გამონახეთ დრო და საშუალება, რომ აზრები და გრძნობები მოიწესრიგოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმეებს გულს ვერ დაუდებთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**24 დეკემბერი:** შეიძლება სტრესის დასამარცხებლად დიდი ენერგიის დახარჯვა მოგიწიოთ მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაცის გემოვნებაში ვერ ჯდებით. დარჩით იმად, ვინც ხართ.

**თხის რქა 22.12-19.01**

**24 დეკემბერი:** დღეს ყველაფრის გაზვიადებისკენ იქნებით მიდრეკილი. ყველაფერი არც ისე ცუდადაა, როგორც გგონიათ. კარგად დაფიქრდით და დარწმუნდებით.

**მერწყული 20.01-18.02**

**24 დეკემბერი:** თქვენი მოქმედებების მიზანსა და არსს ბევრი ვერ ჩასწვდება, მაგრამ ამის გამო მიზანზე უარი არ უნდა თქვათ. მოგვიანებით ყველაფერს მიხვდებიან.

**თევზები 19.02-20.03**

**24 დეკემბერი:** ბედნიერი ხართ, რომ სხვათა დახმარება შეგიძლიათ. დღეს შეიძლება მეგობარი შეიძინოთ, ან რომანი წამოიწყოთ.

**გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!**

**დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:**

**577 74 99 89**

**„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი**

**(15 საათიდან)**

**ასევე, რედაქცია გამოაქვეყნებს სხვადასხვა ავტორების პუბლიკაციებსა და წერილებს წინასწარ შეთანხმებული ჰონორარით.**

## შინაპატიმრობა... კატას მიუსაჯეს



ძალიან უცნაურია ადამიანების მსგავსად პასუხისგებაში ცხოველების მიცემა, მაგრამ ისე აქვთ ამერიკაში ეს უჩვეულო კანონები გამჯდარი, რომ კატებსაც კი აპატიმრებენ და ზოგჯერ, სასამართლო პროცესზე ჩვენების მისაცემად ვირებსა და ძაღლებსაც იბარებენ.

როგორც ირკვევა, კონექტიკუტის შტატის ქალაქ ფოიერვილდში ვინმე რუფ საიზეროს კატას, სახელად ლუისს, ორწლიანი შინაპატიმრობა მიუსაჯეს, თავად ცხოველის პატრონს კი, ჯარიმის სახით, 5 ათასი აშშ დოლარის გადახდა დააკისრეს.

სასამართლოს გადაწყვეტილებაში დაახლოებით ასეთი რამ ჩაუწერიათ:

– კატა ლუისი დამნაშავეა ქუჩაში მოსიარულე ადამიანებზე არამოტივირებულ სერიულ თავდასხმებში. ის მსხვერპლს შეუმჩნევლად ეპარება, შემდეგ კი ბრჭყალებით ფეხებს უზიანებს...

მოკლედ, სანქციებდაწესებული კატა კარგა ხანს სუფთა ჰაერის ჩაყლაპვას ვერ მოახერხებს, მაგრამ საინტერესო ის ფაქტია, რომ მის დაჯარიმებულ პატრონს ცხოველის მოშორება სასტიკად აეკრძალა და როგორც კი ლუისი სასჯელს მოიხდის, ის სპეციალურ კომისიაზე შემოწმებას გაივლის.

*sitemul.wbiz.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



ტურისტებით სავსე ავტობუსი უკვე რამდენიმე საათია, არ გაჩერებულა, კონდიციონერი არ მუშაობს, საშინლად ცხელა. უცბად ვიღაცამ ჰაერი მოწამლა. მგზავრებს თვალები ეწვით, ყველა ცოფიანივით გაჰყვირის: „ვინ ქნა ეს, თვალებს გამოვჩიჩქნით“. აქ ერთ-ერთი მგზავრი წამოდგა:

– ცნობილი ექსტრასენსი ვარ და იმ უნამუსოს ახლავე გამოვავლენ. უბრალოდ, ავტობუსის სიგრძის ძაფი მჭირდება.

ყველამ ბარგი მოჩხრიკა და ექსტრასენსს ძაფი მალევე მიაწოდეს.

– აბა, ახლა ყველამ გავქაჩოთ ძაფი მთელ სალონში და ყველამ მოკიდოს ხელი... ყველამ მოკიდა?

– კიიიიი...

– იმანაც, ვინც ჰაერი მოწამლა?

– კიიიიი...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

» 211359457

გამომცემელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი (577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე 599 93 28 03; 2-21-21-80 (108)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჭაქვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ზანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“** საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.

სარეკლამო სამსახური

☎ 2-333-170

577-444-442

მიხეილ სახვაძე

221 21 80

(შიდა ნომერი 108)

E-mail: reklama@alia.ge

®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი 30-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)

☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.55